საქართველოს მომავალი ,,დიდი აბრეშუმის გზაზე" გადის

"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 10 (276) 23 ოქტომბერი, სამშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

28 ოქტომბერი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეა
როგორი იქნება პოლიტიკური შემოდგომა - საით წავა საქართველო?

ნიკო ნიკოლაძე-175, ნაპოლეონი-160



„ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში.

...ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა...

ვაჭრობა ერთის მხრივ ევროპასა და მეორეს მხრივ საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის ფოთს შექმნის ერთ უდიდეს და უმდიდრეს სავაჭრო ქალაქად. იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც.

მე-2-გვ

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი

დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი საფრანგეთის ემიგრაციაში დაბადებული ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი საქართველოს სიყვარულით გულანთებული უბრუნდება ადგილის დედას, ფესვებს, როგორც გამოცდილი დიპლომატი, ევროპულად განათლებული, პროფესიონალი და ჰუმანისტი პიროვნება, დემოკრატი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე.

იმედია, ქართველი ხალხი მხარს დაუჭერს მას, რათა აღასრულოს წინაპართა ოცნება და საქართველო გახდეს ძლიერი ევროპული ტიპის ქვეყანა, სადაც არის ერთიანობა სიმშვიდე და შემწყნარებლობა.

მე-3-გვ

გერონტი კუხალეიშვილი -85
ქალაქმა საზეიმოდ აღნიშნა დიდი იუბილე
ლამაზი გადასახედი ნარსულისა, რომელიც მუდამ შენთან არის

სხოვრება სამივე განზომილებაში

კულტურის ცენტრში დაუვიწყარი საღამო შედგა, რომელიც ბატონ გერონტი კუხალეიშვილის დაბადების 85 წლის იუბილეს მიეძღვნა. დარბაზმა ვერ დაიტია სტუმრები და მასპინძლები, აქ კიდევ ერთხელ გაცოცხლდა არათუ ერთი დიდი პიროვნების, არამედ მთელი ქალაქის ცხოვრება, რამეთუ ბატონი გერონტი და ქალაქი განუყოფელია, მას მიუძღვნა მთელი შეგნებული ცხოვრება და იღვაწა, იცხოვრა დროის სამივე განზომილებაში და სამივეს წარუშლელი ძეგლი დაუდგა, რასაც მშობლიური ქალაქის, ისტორიული ფაზისის, საქართველოს საზღვაო კარიბჭის სიყვარული ქვია... რაც მუდამ სამაგალითო იქნება თაობებისათვის.

ნათდება სცენა-პატარა სკვერი, მოგრძო სკამი და ძველებური ლამპიონი, ფაზისური ხედები ეკრანზე, მუსიკის ფონზე წამყვანები კითხულობდნენ ვარლამ გოგუაძის ლექსს.

მე-4-გვ

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატია-ევროპული კულტურითა და გამოცდილებით



ჩვენი უძველესი ქრისტიანული კულტურა და ისტორია მდიდარია ქალთა სახელებით, რომლებმაც ჩვენი იდენტობა ჩამოაყალიბეს. ქართველთა ოქროს ხანა თამარის მეფობითაა გასხივოსნებული. მან შუა საუკუნეების საქართველოში ხორცი შეასხა ისეთ ჰუმანისტურ იდეებს, რომლებზედაც დგას თანამედროვე ევროპა. სწორედ, ქალი პრეზიდენტი უნდა გახდეს დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში თამარისეული, ევროპული ხედვის დაბრუნების სიმბოლო. ამიტომაც პატივად მივიჩნევთ სალომე ზურაბიშვილთან ერთად შრომასა და ბრძოლას ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის!

ბიძინა ივანიშვილი
,,ქართული ოცნება"-დემოკრატიული საქართველო

ინტერვიუ ქ.ფოთის მერთან, ბატონ გოჩა კურდღელიასთან ეროვნული მოლვაწეობის გადასახედი:

,,ყველა პროექტში, რომელიც ქალაქში ხორციელდება, ფოთელებია დასაქმებული"

მე-5-გვ

ფოთმა ნიკო ნიკოლაძის დიდი იუბილე ,,ნიკოობის" დღესასწაულით აღნიშნა

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთან, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან



ფოთელებმა თავიანთი განსაკუთრებული, სიყვარული გამოიხატეს ქალაქისა და ქვეყნის დიდი მოამაგის ნიკო ნიკოლაძის მიმართ, მისი საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გაიმართა დიდი დღესასწაული ,,ნიკოობა", რეგიონული ფოლკლორული ,,ფესტივალი ფუძეობა 2018" სიმბოლურია, რომ ამ დღეს მოეწყო შეხვედრა პრეზიდენტობის კანდიდატთან, დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალთან, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან.

აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილმა საარჩევნო კამპანია დიდი ჯიხაიშიდან დაიწყო და ფოთით დაამთავრა. ამ ღონისძიებას სიმბოლურთან ერთად საპასუხისმგებლო დატვირთვაც ქონდა. ქალაქის საზოგადოებასთან შეხვედრას იციდენტების გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა, ხალხმრავალ ღონისძიებას ამით არაფერი დაკლებია. ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე ვრცლად ისაუბრეს პარლამენტარებმა ზვიად ძიძიგურმა, ირაკლი ხახუბიამ, ეკა ბესელიამ, გედევან ფოფხაძემ. პრეზიდენტობის კანდიდატს მიესალმნენ ქალაქ ფოთის ექსმერი რომან მელია, და ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია.

დასასრულს ფოთელებს მადლობა გადაუხადა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მისი დიდი წინაპრის დიდი ნიკო ნიკოლაძის ასეთი დიდი დაფასებისა და სიყვარულისათვის. მან განსაკუთრებით ისაუბრა ფოთის, როგორც ევრაზიის ფორფოსტის და საქართველოს საზღვაო კარიბჭის აღდგენაზე და დიდი წინაპრის წინაშე პასუხისმგებლობაზე.

ნიკო ნიკოლაძის რეკონსტრუირებული კოშკი გაიხსნა

ნიკო ნიკოლაძის კოშკი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. კოშკის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის „ქართუ" მიერ იქნა დაფინანსებული. კოშკში განთავსებული ნიკოლაძისეული ავეჯისა და ნივთების რესტავრაცია ფოთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩატარდა. ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორს

რეგიონული ფოლკლორული ფესტივალი ,,ფუძეობა-2018" ფოთში

ფოთში ფოლკლორული ფესტივალის „ფუძეობა 2018" ის ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ პარკში სამეწარმეო მარკეტი და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაიმართა. მოეწყო საფესტივალო ქალაქი, სადაც ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება ჩატარდა. ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენა, ხატვისა და ქარგვის მასტერკლასები, ფოლკლორული კონცერტი და სხვა. ფესტივალზე სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული შემოქმედებითი კოლექტივები იღებდნენ მონაწილეობას. აქ განთავსებული შემეცნებით-გასართობი და საჩვენებელი კუთხეები ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. „ფუძეობა 2018" ის ფარგლებში სტუმრობდა ფოთს ცნობილი ქართველი მომღერალი ლელა წურწუმია, რომელმაც მაკა ზამბახიძესთან და ჯგუფ „ნონსტოპთან" ერთად ცენტრალურ პარკში გამართულ გალა-კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

ნიკო ნიკოლაძე - 175

ულმობელი საქმის კაცი საქართველოს ტრასკონტინენტურ მისიაზე ფიქრობდა



დიდი გზა მოამაგისა

ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 9 ოქტომბერს.

1860წ.- დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია.

1861წ.- შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1866წ.- შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი ,,მთავრობა და ახალი თაობა".

1868წ.-ჟენევაში ლ.მეჩნიკოვთან ერთად დააარსა ჟურნალი ,,სოვრემენოსტი". ამავე წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები". (ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა ჟენევაში.)

1870 წელს - დაბრუნდა ქუთაისში.

1871 წ.- სათავეში ჩაუდგა ჟურნალ ,,კრებულს".

1872-73 წ.-იმყოფებოდა პარიზში ტყიბულის ქვანახშირის საქმეების მოსაგვარებლად.

1873 წ. - სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა გაზეთ ,,დროებასა" და ჟურნალ ,,კრებულში".

1878წ.-გამოსცემდა გაზეთ ,,ობზორს".

1880 წ.-გადაასახლეს სტავროპოლში.

1881წ.-სტავროპოლიდან გადავიდა პეტერბურგში. აქტიურად მონაწილეობდა ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებაში.

1886წ. - ხელმძღვანელობდა მეორე დასს.

1887-91 წ. -თბილისში რედაქტორობდა გაზეთ ,,ნოვოე ობოზრენიე"-ს და თანამშრომლობდა ჟურნალ ,,მუამბეში".

1894-1912წწ.- არჩეულ იყო ფოთის ქალაქის თავად.

1920წ. საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების მეთაური.

1924წ. - დაბრუნდა საქართველოში, დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული მწერლობის განვითარებაში.

1928წ. -გარდაიცვალა. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

ნიკო ნიკოლაძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და რომელიც თერგდალეულთა სახელწოდებითაა ცნობილი. ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მან ბევრი გააკეთა ქართული საზოგადოებრივი, ეკონომიკური აზროვნების, ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

იურიდიულ მეცნიერებათა პირველი ქართველი დოქტორი, ბრწყინვალე ეკონომისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, საგანთა და მოვლენათა ღრმა ცოდნით იკვლევდა ეკონომიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, იურისპრუდენციის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, პედაგოგიკის, ისტორიის, პოლიტიკის და ეროვნულ საზოგადოებრივი მოძრაობის საკითხებს.

ეროვნულ-სამეცნიერო და სამწერლო შემოქმედებასთან ერთად ნიკო ნიკოლაძე იყო დიდი პრაქტიკოსი საზოგადოებრივი მოღვაწე. მისი ინტერესებისა და საქმიანობის სფეროში შედიოდა დიდი, საქვეყნო საქმეები-ელექტროფიკაცია, ქალაქმშენებლობა, რკინიგზების გზატკეცილების, ხიდების, ნავსადგურების მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მელიორაცია-ირიგაციის საკითხები და საგამომცემლო საქმე; შეიმუშავა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი მდინარეთა სანაოსნოდ გამოყენების, ტრანსკავკასიის და ტრანსკონტინენტური რკინიგზების, ნავთობსადენების გაყვანის შესახებ და სხვა მრავალი. ყველას აოცებდა მისი დაკვირვების დიდი უნარი და ღრმა ცოდნა იმ საკითხებისა, რომლის შესრულებასაც იგი მიზნად ისახავდა.

დიდი მამულიშვილი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა ყოველგვარ ანტიეროვნულ გამოხდომას. იგი შეუპოვრად ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარ ცენზურას და სასამართლოს, შოვინისტ გადამთიელებს და ერის მოღალატე, გადაგვარებულ ქართველებს.

ნიკო ნიკოლაძე თავისი დიდი განათლებით, კულტურით, პრაქტიკული საქმეებით, მამულის დიდი სიყვარულით, სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ჭკვიანი კაცის ეტალონად. მისი სიცოცხლის 85 წლიდან 65 წელი თავდადებულად, უანგაროდ ემსახურა სამშობლოს, მშობელ ხალხს და დიდად წაადგმევინა ფეხი წინ პროგრესის გზაზე.

ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა, 1928 წელს, ერის დიდ მოჭირნახულეს, მთაწმინდაზე დაუმკვიდრა სასუფეველი თავის უკეთეს შვილთა გვერდით.

დიდი ნიკო დღესაც ჩვენს გვერდით დგას თავისი დიდი ნააზრევით, შემოქმედებით, დიდი პრაქტიკული საქმეებიით და გვასწავლის მამულის სიყვარულს და მსახურებას, გვასწავლის, რომ ,,ყოველი ერი ვალდებულია, სანამ შეუძლიათ, იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასაცავად, შესანახავად".

,,სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინმეს გასაზიდი, მონობას ვერ ავცდებით"

ფოთის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები სახელმწიფო დაფინანსებით 1901 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ,,სამუშაოს ახორციელებდა ,,ბუნგე-პალაშევსკის" ფირმა და 1905 წლის დასაწყისში დამთავრდა. ამავე წლის 15 მარტს ოფიციალურად გაიხსნა ნავსადგურის ახალი შემოსასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან. 1907 წელს კი დამთავრდა ჯერ კიდევ 1898 წელს ქალაქის თვითმმართველობის სახსრებით დაწყებული ნავსადგურის კეთილმოწყობისა და ახალი გემმისადგომების სამშენებლო სამუშაოები.ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე 1863 წლიდან 1907 წლამდე დაიხარჯა 16 მილიონი მანეთი, აქედან 10 მილიონი გაიღო სახელმწიფომ, დანარჩენი 6 მილიონი კი - ქალაქმა თავისი სხვადასხვა შემოსავლებიდან.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ნავსადგურის მექანიკური მოწყობაც. ამ საქმეში მთავარი როლი ითამაშა მექანიკურად ჩატვირთულ ყოველ ფუთზე დაწესებულმა გადასახადმა 1 კაპიკის ოდენობით, რათა ხუთი წლის განმავლობაში დაფარულიყო გაწეული ხარჯი. ეს გადასახადი მარგანეცის ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი იყო, რადგანაც, მცირდებოდა გემების მოცდენები. დატვირთვა-გადმოტვირთვა უფრო ნაკლებ დროში ხერხდებოდა, ამდენად, 1904 წლის მარტში მარგანეცის მრეწველთა საბჭომ განიხილა საგანგებო ყრილობაზე ფოთის თვითმმართველობის პროექტი, ჩამტვირთავი მოწყობილობების შეძენასა და ერთი ფუთი ტვირთიდან ერთი კაპიკის ტარიფის დაწესების შსახებ (ადრე ნახევარი კაპიკი იყო) და ყრილობამ მხარი დაუჭირა ფოთის ქალაქო თვითმმართველობის შემადგენლობას. დამტკიცდა 120 ათასიდან 150 ათასამდე ფუთის სიმძლავრის ელევატორის მშენებლობის პროექტი. აღნიშნული მოწყობილობით საპროექტო ღირებულება შეადგენდა 375 ათას მანეთს. აქედან 30 000 ქალაქს უნდა გადაეხადა ერთდროულად, სამუშაოს დაწყებისთანავე,ხოლო დანარჩენი თანხა უნდა გადაეხადა 5 წელიწადში 1-კაპიკიანი საფუე გამოსაღებით.

ვალის გადახდის შემდეგ ელევატორი ქალაქის საკუთრებაში გადადიოდა. ელევატორის მშენებლობა 1908 წელს დასრულდა.

განძი, რომელიც დაგვიჭოვა ნიკო ნიკოლაძემ

- ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო, რითაც სამუდამოდ იხსნა პერიოდული დატბორვისგან.
- ააშენა სამი ხიდი, აქედან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს აერთიანებს მესამე კი გურიას.
- გააუქმა მდინარეებზე-მალთაყვაზე და რიონზე ნავებით გადაყვანა-გადმოყვანაზე უზომოდ დიდი გადასახადი.
- მოსპო ძველ რკინის ხიდზე დაწესებული ბაჟი.
- ააშენა ელექტროსადგური, რომელიც ქალაქსა და პორტს ანათებდა.
- გაიყვანა სატელეფონო ქსელები.
- ააშენა კოხტა, ლამაზი აგურის შენობები, ნაცვლად ხის სახლებისა. ქვის შენობაში მოათავსა ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები, სკოლები.
- მოხერხებულ ადგილზე გადაიტანა სავაჭრო მოედანი, გააშენა მინით დახურული ბაზარი და დუქნები.
- მოაწყო პირუტყვის სასაკლაო და სუფთა წყლის ამოსაღები სისტემა.
- განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით აღმართა ბიზანტიურ სტილზე ეკლესია.
- შენობები აუშენა საავადმყოფოსა და პოლიციას.
- მოაწყო ცხენის რკინიგზის ლიანდაგი (კონკა).
- გაიყვანა მოკირწყლული გზატკეცილები და ქუჩები.
- შეიძინა ქალაქის განაპირა ადგილები.
- მოაწყო საწყობები პორტში და ელევატორში.
- ნავსადგურში დააწესა საფუთო გადასახადი, რომელიც ქალაქის შემოსავლის მტკიცე წყარო გახდა.
- მოხდა რიონის პორტთან არხით შეერთება.
-სარკინიგზო ტვირთზე ბაჟის დაწესება ქალაქის სასარგებლოდ.
- საავადმყოფოს დაარსება.
- საზოგადო ბანკის გახსნა.
- სამოსწავლებო სემინარიისა და სამასწავლებო ინსტიტუტის დაარსება.
- პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალზე არხების გაყვანა.
- რიონის მომზადება ზამთარში გემების სადგომად.
- წყალვარდნილების მშენებლობა ელექტროენერგიის მიღების მიზნით.
- მანქანების, მატორიანი ნავების შეძენა.
- ფოთის გარშემო ჭაობების დაშრობა და ნაჭრებად დაყოფა ფერმების მოსაწყობად.
- კურორტის მშენებლობა ზღვასა და პალიასტომს შორის.

რა დარჩა განუხორციელებელი ნიკო ნიკოლაძეს

ნიკოლაძეს სამომავლო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა:არხით შეეერთებინა რიონი პორტთან; რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება ქალაქის სასარგებლოდ; საავადმყოფოს დაარსება; ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა; სამოსწავლებო სემინარიისა და სამასწავლებო ინსტიტუტის დაარსება;-პორტის შიდა აუზის შეერთება მდინარე კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალზე არხების გაყვანა; რიონის მომზადება შავი და აზოვის ზღვების გემების სადგომად ზამთარში; კურორტების გამართვა ზღვასა და პალიასტომს შუა; სახალხო სახლისა და თეატრის აშენება და სხვა.

ამ გრანდიოზული გეგმების განხორციელება ვერ მოასწრო ნიკოლაძემ: 1894 წლიდან 20 წლიანი დაუღალავი შრომის, ენერგიის, ჯანმრთელობის საფასურად ,,ქართველმა უმადურობამ" უკვე 70 წელს მიტანებული ნიკოლაძე სასამართლოს კარებამდეც კი მიიყვანა. ცილის მწამებლური კამპანია 1913 წელს გაზეთ ,,იმერეთის ფურცლებიდან დაიწყო. ზედიზედ ქვეყნდებოდა ნიკოლაძის სალანძღავი სტატიები ვინმე ,,ეროს" ფსევდონიმით (ეს გახლდათ ვასილ წერეთელი სოციალ-ფედერალისტი, 1906 წლიდან ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი). რაც კი კარგი გააკეთა ავად გაუხსენეს, ტყიბულის ქვანახშირის ჭიატურის მარგანეცის საბადოების ამუშავების, რკინიგზის გაყვანის საქმეებში ათასგვარ აფსურდულ ბრალდებებს უყენებდნენ, ეკონომიკური პოლიტიკაც კი დაუწუნეს: ,,ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობამ თავისი დრო მოჭამა და დღემდე თუ ის ფოთისთვის საჭირო იყო ამას იქით მავნებელი იქნება...ახლა სხვა დროა და სხვა გზაა საჭირო... ის გზა, რომელსაც ნიკოლაძე ადგას ფოთს დაღუპავსო". და ასე მოძღვრავდნენ გაზეთის ფურცლებიდან ფოთელებს (გაზ. ,,იმერეთი", 1913 წლის 5 იანვარი): ,,ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი", -გამართლდა ვაჟა-ფშაველას აფორიზმი. ასეც მოხდა: გულ-ბოროტმა, შურიანმა, სულმდაბალმა ადამიანებმა ფოთის მაშინდელი საქმოსნებიდან, ფოთის ,,ვაი-პატრიოტებმა", ფეხი აუწყვეს ჭორებს 40წლის მეგობრები იონა მეუნარგია და ნიკოლაძე ერთმანეთს გადაჰკიდეს, ახალი ბრალდებები შეთითხნეს, ნავსადგურის მშენებლობისას ქრთამის აღებაც კი დაბრალეს და სამართალში მისცეს. მართალია, სასამართლოზე ბრალდებები ვერ დაუმტკიცეს ნიკოლაძეს, მაგრამ ეს იმდენად დიდი სულიერი ტრავმა იყო მისთვის, რომ ნიკოლაძემ დატოვა საქართველო და რუსეთში წავიდა სამუსაოდ და საცხოვრებლად.

ნიკო ნიკოლაძის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი რუდუნებით ნაშენები პორტი-საქართველოს საზღვაო კარიბჭე მიხეილ სააკაშვილმა ერთი ამწის ფასად გაყიდა

28 ოქტომბრის არჩევნები არის რეფერენდუმი - როგორ ვივლით დემოკრატიის გზაზე-წინ თუ უკან?

სალომე ზურაბიშვილი ევროპული განათლების, კულტურის, დიდი დიპლომატიური გამოცდილების პროფესიონალია და ხალხის მხარდაჭერა ექნება

სალომე ზურაბიშვილმა თავისი დიდი სიყვარული სამშობლოსადმი გამოხატა წიგნში ,,საქართველოსაკენ"



სალომე ზურაბიშვილი დაიბადა 1952 წლის 18 მარტს, პარიზში ქართველი ემიგრანტების ლევან ზურაბიშვილისა და ზეინაბ კედიების ოჯახში, დიდი ბაბუას ნიკო ნიკოლაძის აღზრდილთა გარემოცვაში.

1972 წელს დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

1972-1973 წლებში სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში.

1974 წელს მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მიავლინეს რომში, საფრანგეთი საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობაზე.

1977-1980 წლებში მუშაობდა გაეროში, საფრანგეთის მუდმივმოქმედ მისიაში მეორე მდივნად.

1980-1984 წელებში მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრში.

1984-1988 წლებში იკავებდა აშშ-ში საფრანგეთის საელჩოში პირველი მდივნის თანამდებობას.

1988-1989 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთის დელეგაციას ძალების შემცირების მოლაპარაკებებზე ევროპის , უშიშროებისა და თანამშრომლების კონფერენციის ფარგლებში.

1989-1992 წლებში იყო ჩადში საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი.

1992-1993 წლებში მუშაობდა ევროატლანტიკურ საბჭოში, საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პირველ მდივნად.

1993-1996 წლებში მუშაობდა დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ.

1996-1998 წლებში იკავებდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველის თანამდებობას.

1998-2001 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განათლების სამმართველოს.

2001-2003 წლებში იყო საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო სტრატეგიული საკითხთა დირექტორი.

2003 წელს სალომე ზურაბიშვილი დაინიშნა საქართველოში საფრანგეთის ელჩად.

2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე იკავებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

2005 წლიდან იყო არადემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიციური მოძრაობის ერთერთი ლიდერი საქართველოში.

2016 წელს გახდა მთაწმინდის ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი.

სალომე ზურაბიშვილს მიღებული აქვს საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიო ლეგიონის ორდენი და საფრანგეთის რესპუბლიკის ღირსების ორდენი.

ნაწყვეტები წიგნიდან ,,საქართველოსაკენ"

1921 წლის 18 მარტი... ბათუმის ნავსადგურში, ფრანგულ გზაზე, ის უკანასკნელი მგზავრები დგანან, რომლებიც იძულებით ტოვებენ სამშობლოს მგზავრებს შორის არიან ივანე ზურაბიშვილი და მისი მეუღლე ნინო ნიკოლაძე,თან 15 წლის ვაჟი ახლავთ-ლევანი. გემზე ერთი ფეხმძიმე ქალიც არის, აგრაფინა თავართქილაძე, ქმართან-მელქისედეკ კედიასთან ერთად. მათი შვილი უძვე საზღვარგარეთ, ლტოლვილობაში დაიბადება. გოგონას ზეინაბს დაარქმევენ. ეს ორი ოჯახი ისევე, როგორც საქართველოს გახიზნული მთავრობა, იმ განწყობით მიემგზავრება, რომ მალე აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში. ეს ,,მალე" შვიდ ათეულ წელს გაგრძელდება და დაბრუნებას მხოლოდ იმ ლტოლვილობაში დაბადებული გოგონას, ზეინაბისა და ,,ანატოლიის" გემბანზე მყოფი ბიჭის, ლევან ზურაბიშვილის ქალიშვილიღა შეძლებს, ჯერ კიდევ არეულ დარეული, პოსტკომუნისტური საქართველოს მღელვარე ცხოვრებაში გადაეშვება დიდი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის მსგავსი გაუტეხლობითა და ბობოქარი ხასიათით; მერე კი ამ ორი ოჯახის და წინაპრების თავგადასავალს მოგვიყვება ბელეტრისტის ნიჭისა და ფხიზელი ანალიტიკოსის უნარის წყალობით.

ამ წიგნს ზუსტად მიგნებული სათაური აქვს-,,საქართველოსაკენ". მისი ავტორიც ხომ მთელი ცხოვრება საქართველოსკენ მიილტვოდა, თუმც უცხოობაშიც თავი სამშობლოსგან გაუცხოებულად არასდროს უგრძვნია. ამიტომაც ამბობს საკუთარი დაბრუნების შესახებ: *,,ამას დაბრუნება არ ჰქვია, პირდაპირ მე არასოდეს დამიტოვებია ეს ქვეყანა. თავი არასოდეს მიგრძვნია ემიგრანტად და არც დღეს ვფიქრობ, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი ვარ".*

ამ წიგნის ავტორის შორეულ სამშობლოსთან სიახლოვეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ წრეში აღიზარდა, სადაც საფლავის ქვაც კი საქართველოს სიყვარულზე ლაღადებს. წარწერა ლევილში თავადი დადიანის საფლავზე: ,,ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე".

ასეთ ეპიტაფიას წიგნის ავტორის ნებისმიერი წინაპარი იმსახურებს -ნიკო ნიკოლაძე, გნებავთ, მექი კედია მისი ქალიშვილი ზეინაბი, რომელმაც მიუხედავად ემიგრაციაში დაბადებისა, მეუღლესთან, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ლევან ზურაბიშვილთან ერთად, შვილები მისთვისაც კი უცნობი სამშობლოს სიყვარულით აღზარდა.

პრეზიდენტი მოვალეა, იყოს ტოლერანტული თავისი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, იზრუნოს შუღლისა და დაპირისპირების აღმოსაფხვრელად, ხელი შეუწყოს გახლეჩილ-გათითოკაცებული ქვეყნის გამთლიანებას.

ეს დიდი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობა არ არის. მე ვარ ვალდებული ჩემი წინაპრების წინაშე, ვინც 100 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ვეღარ აცოცხლა.

ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩემს ოჯახში და არა მხოლოდ ჩემს ოჯახში, ვინც საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ ვერც პრეზიდენტი გახდა, ვერც პარლამენტარი, სახელმწიფოს ვერ ემსახურნენ რისთვისაც ჩემზე მეტად მზად იყვნენ. ამ ადამიანების გამო ვთვლი, რომ ამ მომენტში ასეთ გამოწვევაზე უარის თქმა არ შეიძლება. ესაა ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი", -თქვა სალომე ზურაბიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბრძოლა არ შემიწყვეტია, რადგან ვთვლი, რომ ადამიანი უსამართლობას არ უნდა შეეგუოს. მთავრობის წევრობიდან ოპოზიციაში გადავედი, რათა მებრძოლა სამართლიანობისთვის, დემოკრატიის გადარჩენისთვის. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, საფრანგეთში საცხოვრებლად დაბრუნება არც მიფიქრია. ისტორიული უსამართლობის გამო, ისევდაც დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა სამშობლოში ჩამოსვლის და მის სამსახურში ჩადგომის შესაძლებლობა. გადავწყვიტე, ცხოვრების დარჩენილი ნაწილი საქართველოს უკეთესი მომავლის შენებისთვის მიმეძღვნა.

ჩემი წინაპრებისგან ასეთი ხასიათი მერგო - არასოდეს ვნებდები ბედს, არასოდეს ვუშინდები წინააღმდეგობას. სწორედ ჩვენს მიერ დაწყებული ბრძოლა სამართლიანობისთვის დააგვირგვინა წარმატებით ,,ქართულმა ოცნებამ" 2012 წელს.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მივიღე, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა და გავიმარჯვე.გავხდი საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რაც ჩემთვის განსაკუთრებული სიამაყის საფუძველი იყო.

საქართველო აუცილებლად იქნება ძლიერი, ევროპული ტიპის ქვეყანა. სადაც არის ერთიანობა, სიმშვიდე და შემწყნარებლობა. ეს, არის ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები! ესაა ის,რაზეც ოცნებობს თითოეული თქვენგანი! ჩვენს სამშობლოს უნდა ვემსახურო, სანამ შემიძლიაესაა ჩემი როლი ამ ცხოვრებაში!

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენი მხარდაჭერით გავხდე საქართველოს პრეზიდენტი.რომელიც იქნება საზოგადოების გამაერთიანებელი, მედიატორი ხალხსა და ხელისუფლებას შორის!

მჯერა, რომ მოვიპოვებ თქვენს ნდობას და ვიქნებიი თქვენს მიერ არჩეული საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი!

საქართველოს გზა-გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა.

არჩევნები და პარადოქსები

ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის მთავარი მიზანი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება. პრეზიდენტმა უნდა შეძლოს ეს, მიუხედავად შეზღუდული უფლებებისა, თუ ის ქვეყნის მეთაურია რეალურად.

,,ნაცები" აპირებენ დაბრუნებას - ეს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია - სანამ იქნება პარტია ნიღაბი ხელისუფლებაში მოსასვლელად - ყალბი პროგრამებით და დაპირებებით.

დაიწყო დამნაშავეთა რეაბილიტაცია, თურმე, ,,ნაციონალები" პოლიტპატიმრები ყოფილან, ექსკლუზიური ინტერვიუ მერაბიშვილთან. ფარული ჩანაწერები, რუსთავი 2-ის ტელევიზია პროკურატურად იქცა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმზე სიტყვა არ დაცდენია, ,,ოცნება" ,,ნაცებზე" უარესს აკეთებსო, თურმე, ვინ დაიჯერებს რომ ,,ნაცებზე" უარესი შეიძლება მოიფიქროს ვინმემ? რომ ესენი რამეს ინანიებენ და ქვეყანა უყვართ? საკუთარი ხალხის ოკუპაცია მოყვა ვარდების რევოლუციას-სიყალბე, დიქტატურა დემოკრატიის საფარქვეშ.

ქვეყანა მართლა ჩალითაა დახურული?

თურმე 2012 წელს სააკაშვილს სახელმწიფო გადატრიალება მოუწყვეს და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს (არჩევნები ბლეფი ყოფილა), მაშინ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფო გადატრიალებას რა ვუყოთ?

ეს არჩევნები ქართველი ხალხის ღირსების და მომავლის საქმეა.

რუსეთში აღზრდილი გრიგოლ ვაშაძე, სალომე ზურაბიშვილს-ევროპის შუაგულში - საფრანგეთში აღზრდილ ემიგრანტს - დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალს ერის მოღალატეს და რუსეთის აგენტს ეძახის, რუსი აგრესორია, მაგრამ ესენი ვინ არიან - ქვეყნის დამაქცევრები, შინაური ოკუპანტები, 9 წელს ქართველი ხალხი რომ ჯვარს აცვეს და ქვეყანა დაატოვებინეს ლამის ნახევარ მოსახლეობას.

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ვაშაძე სააკაშვილის ბანდის წევრების შეწყალებას აპირებს, მეორე ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას და ეს დაშლილი თუ გაშლილი ,,ნაცები" ისევ არევენ ქვეყანას.

პარტიები შეერთდებიან რათა შური იძიონ ქართველ ხალხზე. ამას მოყვება სამოქალაქო ომი. საერთოდ ვის აწყობს ეს არეულობა საქართველოში შინ თუ გარეთ? ალბათ, არაა ძნელი მისახვედრი - რუსებს და ქართველთა შავბნელ ძალებს.

პოლიტიკური კინკლაობა - შური, მტრობა, გაუტანლობა, ფარსადან შადიმანობა დაღუპავს ქვეყანას.

ფრთხილად ქართველებო!

თითქოს ,,ნაცები" საკმარისი არ იყო ქვეყნის ასარევად, საიდანღაც ,,გირჩი" შემოგვიგორეს ტერორისტების ყუმბარასავით და არავინ იცის როდის გასკდება უზნეობის ნაღმი, უამრავი პარამეტრით, დაწყებული ურწმუნოებით, ნარკომანებით დამთავრებული.

ფრთხილად ქართველებო!!

ნუთუ, პოლიტიკური ყაჩაღები - ნიღბიანი დიქტატორ-დემოკრატები, უნიჭო, უინტელექტო, ყველაფერზე წამსვლელი ადამიანები უნდა დავისვათ ისევ თავზე.

სალომე ზურაბიშვილს არ უთქვამს ომი დაიწყო საქართველომ - ომის საბაბი რუსეთს მისცა გიჟმა სააკაშვილმა-რომელმაც აჩვენა აგრესორი მსოფლიოს და აიღო მილიარდები. (ისე, გაიხსენეთ რა წერია ტალოვინის კომისიის დასკვნაში).

მართლაც მოღალატე სააკაშვილმა ქვეყნის ყველა დიდი სტრატეგიული ობიექტი რუსეთს უფეშქაშა 2008 წლის ომის შემდეგ, როგორც გამარჯვებულმა, კონცერტი გამართა და მრავალმილიონად ღირებული ფილმები გადაიღეს მსოფლიოს ვარსკვლავების მონაწილეობით სამარცხვინოდ წაგებულ ომზე.

ამას თავი დავანებოთ - ვინ დაიწყო ომი, რუსეთთან ომი გმირობად და გამბედაობად ჩავთვალოთ სააკაშვილს, მაგრამ რა ვუყოთ მშობლიურ, ქვეყანასთან 10 წლიან ომს, ნგრევას, ქონების დაორევას, 7 ნომბერს და 26 მაისის ჩახოცილ ქართველებს, კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად და შიდა ქართლის სამხრეთ ოსეთად გამოცხადებას - ეს არ იყო ოკუპაცია? ვითომ გაევროპებული ,,ნაცები" ბაქრაძეს წარიმძღვარებენ ბოკერიას შესაფუთად, რომლის კისერზეა ცეხეში ჩახოცილი პატიმრები და საერთოდ ყველა უბედურების ,,გამპრავებელია", რომელიც სააკაშვილმა დაატრიალა ქვეყანაში გარდაქმნების და რეფორმების ეგიდით.

მავანი გაიძახის - რა დროს გასულ 9 წელზე ლაპარაკია, წინ იხედეთ და არა უკან, მაგრამ რომ არ გიშვებენ და ისევ ხელისუფლებაში მოსვლას რომ აპირებენ ,,ნაცების" (რა კავშირი აქვთ ამათ ერთან და ნაციასთან) მოძრაობის ლიდერები?

ეს იმის ბრალია, რომ ,,ოცნებამ" კოჰაბიტაცია მოინდომა, ახლა მათ იმდენს აგინებენ, თითქოს ,,ნაცები" მამა აბრამის ბატკნები არიან, არადა, გამოსავალი ამ რეჟიმის გასამართლებაა და თუ აქ შეშინდნენ ხელისუფალნი-ამას ქართველი ხალხი არ აპატიებს, სხვა საქმეა რა შეცდომები დაუშვეს ქვეყნის მართვაში, სიღარიბემ დაიმონა ამაყი ერი და გარბის ქვეყნიდან, მხოლოდ იმის თქმა, რომ ,,ნაცებივით" ყაჩაღები არავართ, საქმეს

საქართველო არ დაუშვებს

არ წაადგება.

,,ოცნებას" აბრალებენ იმას, რასაც თვითონ აკეთებდნენ და რაც კარგად იციან. ,,ნაციონალები" და მათი ლიდერები ქველმოქმედებას უწუნებენ და ძუნწად გამოყავთ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც 3 მილიარდი ლარი მოახმარა ქვეყანას, რაც არ ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ,,ნაცებმა" კი მილიარდები წაართვეს ქვეყანას და ხალხი გაამათხოვრეს, რაც შეეხება მათ ქველმოქმედებას-3 ლარიც არ ექნებათ გაღებული.

მაინც, რა მოხდება, ივანიშვილმა ქვეყანა რომ დატოვოს? ჩვენ ხომ აქეთკენ მიგვყავს საქმე, ყველაფერს აქვს საზღვარი-მოთმინებასაც და ეს უნდა ,,ნაცებს" - მოგვაცილონ ,,არაფორმალური მმართველი" და ისევ მობრუნდებიან ხელისუფლებაში დიდი ,,მამულიშვილები", რასაც არ დაუშვებს ქართველი ხალხი.

რუსებმა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან განდევნეს ქართველები, ,,ნაცებმა" დანარჩენი საქართველო -დაამათხოვრეს, წაართვეს თავისუფლება, ამას ქვია -უსამშობლო ქართველობა.

ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!

ფრთხილად ქართველებო! ,,ნაციონალების" პრეზიდენტი ქვეყნის ნგრევის დასასრულის დასაწყისი იქნება
საქართველოს პრეზიდენტს სააკაშვილის პარტიიდან ხალხი არ დაუშვებს

,,სიყვარულის და კეთილ საქმეთა
უძირო ზღვის და სივრცის პატრონო,
ორიოდ სიტყვა რომ გითხრა თბილი,
სკვერში ჩამოვჯდეთ, ჯუკა ბატონო",

მე ხელთ მიჭირავს ერთი ძალზედ საინტერესო წიგნი - მეტად მრავალისმთქმელი სახელწოდებით „მომავლის წარსული“. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა და ჩვენი ქალაქის ახალი და უახლესი ისტორიის მემატიანედ იქცა. წიგნის შექმნის იდეა ბატონი ჯუკას მეგობართა წრეში დაიბადა და როგორც მისი რედაქტორი ბატონი მურმან კოკაია ბრძანებს - იგი ავტობიოგრაფიული ხასიათის გარდა მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობაა, სადაც გადმოცემულია XIX და XX საუკუნის ჩვენი ქალაქის ისტორია.

- სად გაქრა წარსული? სვამს კითხვას ბატონი გერონტი თავის წიგნში და იქვე პასუხობს:

არსად, იგი მუდამ ჩემთანაა და მართლაც, როცა გადაშლი განვლილი ცხოვრების ფურცლებს, გინდა იმ ხსოვნის მტვერსაც კი მოუალერსო, რომელიც მათ დასდებია, გინდა შეადწიო შიგ, მის არსებაში და აამღვრიო მიძინებული მოგონებები.

ბრძენს უთქვამს: წარსული მარადისობაო მარადჟამს მფეთქავი გულითა და არტერიებით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მერმისი. ამ წარსულს და მომავალს შორის ისეთი ხიდია გადებული, რომელზეც ყველა თაობამ უნდა გაიაროსო.

- „როდესაც თვალს ვავლებ.. აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ჩემს ოცწლიან საქმიანობას, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ვერ შევძლებდი იმის შექმნას, რასაც მივაღწიეთ, რომ არა ჩემს გარშემო მყოფი ერთგული ადამიანები. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მონაწილე გახლდით ჩემი ოცნების ქალაქის სახიკეთო სახეცვლილებისა, მისი სამომავლო გეგმების განხორციელებისა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, მატერიალური, კულტურული საყოფაცხოვრებო მდგომარეობის ამაღლებისა. ვამაყობ იმითაც, რომ ამ საქმის მკეთებელთა შორის მეც ვიყავი“. ეს ბატონი გერონტის სიტყვებია.-მოგონებებებით დაბრუნებული დრო და ორ საუკუნეში გაცოცხლებული ფოთი.

ღონისძიების წამყვანები დამსწრეთ აცნობენ ბატონ გერონტის ცხოვრების გზას - გერონტი კუხალეიშვილი დაიბადა ფოთში, მოსამსახურის ოჯახში. 1951 წელს დაამთავრა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ -ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. მუშაობდა ტრესტ “კოლხეთმშენის“ ხობის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრად, მოგვიანებით ერთ-ერთი უბნის უფროსად. შემდეგ კი - გერონტი კუხალეიშვილი ფოთის კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებშია. იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლისა და სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

1971-1991 წლებში იყო ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. იმავდროულად, 1990-1991 წლებში აირჩიეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატის ფოთის ბიუროს უფროსად, სამეგრელო - ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ბიუროს უფროსად, საქართველოს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მთავარ მრჩეველად.

1959-1991 წლებში არჩეული იყო ფოთის სახალხო საბჭოს დეპუტატად. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად. პენსიაში გასვლის შემდეგ, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. მისთვის განსაკუთრებით საამაყოა ფოთის საკათედრო ტაძრის მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელობა-ღვთის მადლი ისევ გადმოდის ფოთზე.

2009 წლიდან არჩეულია ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე - პრეზიდენტად, ხოლო 2010 წლიდან-თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარედ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გერონტი კუხალეიშვილს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები: მედლები „შრომითი წარჩინებისათვის“ , „მამაცური შრომისათვის“ , „საპატიო ნიშნის“ , „შრომის წითელი დროშის“ , „ღირსებისა“ და „ბრწყინვალების“ ორდენები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, სახალხო მეურნეობის გამოფენის ოქროს მედალი, მინიჭებული აქვს „რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

არჩეულია ფოთისა და დაძმობილებული ქალაქების: ლაგრანჟესა და ნავპლიონის საპატიო მოქალაქედ. მისი ქალაქის თავად ყოფნის დროს ჩატარდა არაერთი დიდი მასშტაბური ღონისძიება.

ფოთელებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი ინტერესით ადევნებდა მთელი მსოფლიო თვალყურს ტიმ სევერინის მოგზაურობას, რომელმაც პრაქტიკულად გააცოცხლა ანტიკური ეპოქიდან დღემდე ლეგენდად მოსული თქმულება ბერძენთა გმირული მოგზაურობის შესახებ. ეს იყო მისი ჰუმანური და მეცნიერული მისია, რომელიც ფოთის ისტორიულ მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა, როგორც „არგონავტიკა - 1984“.

1991 წელს ფოთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში, რომელშიც მონაწილობდნენ სპორტსმენები ევროპის 19 სახელწიფოდან. ეს ჩემპიონატი პირველი იყო საქართველოს რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებში. ასპარეზობის გახსნას დაესწრო საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია.

ფოთელობა განსაკუთრებული მოვალეობა და ამასთან დიდი ღირსებაა - ასე თვლის ბატონი გერონტი.

ჩემთვის ყოველთვის საამაყო იყო და არის ჩემი ოჯახი, ამბობს ბატონი გერონტი, რომელსაც ღირსეულად წარმართავს მეუღლე გულიკო ქორიძე. ის პროფესიით პედაგოგია. ჩემი ცხოვრების თანაზიარი და შემოქმედებითი საქმიანობის მუდმივად მხარდამჭერი, ჩემი მისწრაფებების ტვირთმზიდველი. ორი შვილის - გიგა და ლელა კუხალეიშვილების, სახელოვნად და ღირსეულად აღმზრდელი.

გიგამ ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლა და სწავლა მოსკოვის აკადემიკოს პიროგოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე განაგრძო, კარდიოლოგის სპეციალობით. გაიარა ინტერნატურა, ორდინატურა, შემდეგში მუშაობდა სამეცნიერო ექსპერიმენტალური ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკად - გულსისხლძარღვთა ინსტიტუტში აკადემიკოს ლეო ბოკერიასა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ პროფესორ ნიკა ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით.

1995 წლის სექტემბრიდან გიგა დაინიშნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში პირველი მდივნის თანამდებობაზე. პარალელურად სწავლა განაგრძო ლონდონის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების დიპლომატიურ ფაკულტეტზე. დაცული აქვს დისერტაცია, რისთვისაც მაგისტრის წოდება მიენიჭა. არის ექვსი მეცნიერული ნაშრომისა და ერთი გამოგონების ავტორი. ამჟამად მოღვაწეობს ლონდონში.

ჰყავს მეუღლე მარიკა კვირაია და ორი შვილი ლუკა-იგივე- ჯუკა და ლიზი კუხალეიშვილები.

გიგა მეგობრებთან ერთად დარბაზში იმყოფებოდა, იგი ლონდონიდან ჩამოვიდა მამის იუბილეზე.

ლელა კუხალეიშვილი - ბავშვობიდან მამის ნებიერა იყო. მან მეხუთე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ბიოლოგის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე - ალექსანდრე მილორავა, ერთადერთი ქალიშვილი მარიამი, რომელიც შარშან სტუდენტი გახდა. ქალბატონი ლელა საადმზრდელო დაწესებულებას ხელმძღვანელობს და მზრუნველობას არ აკლებს პატარებს.

ღონისძიების წამყვანი კითხულობს ბატონ ბაკურ გულუას მისალმებასსბატონო ბაკურ, ვიცით ახალს არაფერს გეტყვით,მაგრამ მაინც გვინდა გითხრათ ხმამაღლა, ყველას გასაგონად. თქვენ, ფოთელებს გამორჩეულად უყვარხართ და თქვენი ყოველი ჩამოსვლა ფოთში თქვენი მეგობრებისათვის დღესასწაულია. მადლობა ამ განცდისათვის, ამ სიყვარულისთვის. სხვანაირად წარმოუდგენელი იყო. დღეს, თქვენ აქ უნდა ყოფილიყავით.

მეგობრის დაბადების დღე მიულოცეს უფროსი თაობის უთვალსაჩინოეს პიროვნებებს, ჩვენი იუბილარის თანაკლასელებს - ორ ცნობილ პედაგოგს ლილი ნორაკიას და მედიკო ბახტაძეს; მეგობრებს: ნაპო თოდუას, ომარ ხუხუნს, ნათელა რუხაძეს, ფოთოლა ქაჯაიას, კორნელი სართანიას, ბეჟან ჯალაღონიას, ჯემალ გურგენაძეს, გოგი გუდავაძეს, იგორ ღურჯიას, ვაგნერ და ედდარ მხეიძეებს, ნუნუ ჭელიძეს, დოდო ხუხიას, ნაზი ჯინჭარაძეს, ირა ფაციას, ლიანა მეგრელიშვილს, გიგლა გვიჩიას, დავით პაჭკორიას, ნუგზარ კაჭარავას, ვახტანგ ხორავას, თემურ დოლბაიას, პაატა გეგენავას, ზაურ დოლბაიას, ლუიზა ჩხეტიას, ვანო ნარმანიას, ზურაბ აბრალავას, შოთა მიქიაშვილს, დევი გვალიას. დიდი მადლობა საერთო სიხარულის გაზიარებისათვის.

ფოთის მაჟორიტარი პარლამენტარი ბატონი ირაკლი ხახუბია შვილის ტრაგედიის გამო სახეიმო ღონისძიებებს არ დაესწრება, მაგრამ იმ დღეს დაესწრო ბატონ გერონტის საიუბილეო ღონისძიებას დიდი პატივისცემის ნიშნად.

ბატონ გერონტისადმი, ჩემი ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული, აღფრთოვანება და უფროს-უმცროსობით ორმხრივი ურთიერთპატივისცემა და მოკრძალება მკარნახობს, არ გავიმეორო მისი საინტერესო ბიოგრაფიის საეტაპო მოვლენები და შეფასებები. სანაცვლოდ კი მინდა შემოგთავაზოთ, ჩვენს შორის ადამიანური ურთიერთობები. მუდამ მხიბლავდა და აღმაფრთოვანებდა მე ჩემს წინ მოღვაწე კოლხი კაცის უანგარო ადამიანური თვისებები...

ჩვენს დანათესავებამდე დიდი ხნით ადრე მე მომეცა საშუალება მიმეღო მისგან, უფროსი მეგობრისაგან პრაქტიკული თანადგომა და საბედნიეროდ ეს ურთიერთობა გადაიზარდა დანათესავებაში, დავქოწინდი რა ბატონ გერონტის მეუღლის ქალბატონ გულიკოს დაზე - მანანა ქორიძეზე.

ეს ოჯახი ჩვენთვის საფიცარი იყო, არის და იქნება.

ზურგის ქარს ვუსურვებ ჩვენს ძვირფას გერონტის და მის ოჯახს, შვილებს და მათ ოჯახებს. თქვენი ძმა - ნუგზარ ნადარაია ერთიანი ოჯახით.-ეს იყო ნაწყვეტი ბატონ ნუგზარის საიუბილეო მისალმებიდან. ბატონი ნუგზარი თავისი ოჯახით დარბაზში ბრძანდებოდა.

დღევანდელ საღამოს კიდევ ერთი განსაკუთრებული სტუმარი ჰყავს, საქართველოს გამორჩეული მხარის - გურიის გუბერნატორი, ჩვენი თანაქალაქელი, რომელსაც ქვეყანამ უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა - ბატონი ზურაბ ნასარაია. ვულოცავთ მას ამ წარმატებას. მადლობას ვეუბნებით ჩამობრძანებისათვის.

სასიამოვნოა, რომ საერთო სიხარულს იზიარებენ აბაშის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლევან მაკალათია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი კოტე შარაშენიძე.

კუხალეიშვილების ოჯახის დღესასწაულს უერთდებიან სტუმრები საქართველოს ქალაქებიდან, აქ არის ჩვენი ქალაქის ყოფილი მერი დავით ქანთარია, ბატონი ჯუკას დიდი ხნის მეგობრები: ჯემალ კუხალაშვილი, თამაზ გაბუნია, თორნიკე აფაქიძე, ზურაბ ალანია, ქალბატონი დარეჯან კვარაცხელია, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რამინ აბლოთია.სტუმრები გურიიდან, ბატონები: დავით სიხარულიძე, ზურაბ ოსეფაშვილი, ალქსანდრე სურგულაძე. სამაჩაბლოს უძველესი მიწიდან, ბატონები: ვახტანგ ხარაული და გერონტი კაჯილაშვილი.

ძვირფასო ფოთელებო, ამ ერთ სტატიაში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ წარმოგვეჩინა ბატონი ჯუკას ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები, ბევრი რამ გავიხსენეთ, თუმცაღა, საკმაოდ დაგვრჩა უთქმელი, მოსაგონარი და თუ ეს სურვილი განსაკუთრებით აღგეძვრებათ გადაშალეთ ეს საინტერესო წიგნი სიყვარულზე, მეგობრობაზე, ფაზის ქალაქზე და აღმოჩნდით იმ სამყაროში, რომელსაც გერონტი „გიორგევიჩი“, როგორც მთელს საქართველოში ამბობენ, - ბატონი ჯუკას სამყაროში.

ბატონი გერონტი კუხალეიშვილი ტრადიციულად უკვე მერამდენე წელია ფოთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პატრიარქს სტუმრობს მის დაბადების დღეზე. ერთ-ერთი სტუმრობის დროს პატრიარქმა შეხვედრის მონაწილეებს ლექსი უსახსოვრა, რომელიც დღეს კუხალეიშვილების ოჯახის რელიქვიაა. ეს ლექსი ქადაგებაა უფლის სიყვარულზე, სამშობლოს სიყვარულზე და რაც მთავარია იმედზე, იმედზე, რომ ყველაფერი კარგად იქნება. სწორედ ამ ლექსით დასრულდა საიუბილეო საღამო.

,,ნუ დაეცემი სულს ნუ იტანჯავ
ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება
იფიქრე კარგი და დაინახე, რომ
ყველაფერი კარგად იქნება!
სულ ყველაფერი კარგად იქნება"!

იუბილარს მიესალმნენ და გულთბილი მადლობა გაფდაუხადეს 60 წლიანი მოღვაწეობისათვის ფოთისა და ფოთელების განსაკუთრებული სიყვარულისათვის ქალაქის მერმა ბატონმა გოჩა კურდღელიამ, რომელმაც სამახსოვრო საჩუქრები გადასცა იუბილარს. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რასაც ოვაციებით შეხვდა დარბაზი. პარლამენტარმა ქალბატონმა ეკა ბესელიამ ფოთში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის მოვალეობის შესრულებისას იუბილართან ერთად გატარებული ბევრი საქმიანი შეხვედრა გაიხსენა. აბაშის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლევან მაკალათიამ განსაკუთრებული სიყვარული გამოხატა ამ დიდი პიროვნებისადმი მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომის გამო.

იუბილარს მიესალმნენ თბილისში მცხოვრები ფოთელთა საზოგადოების თავმჯდომარე სპარტაკ გოგინავა, ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი კაკულიამ თბილი მოგონებების შემდეგ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ბატონ გერონტის.

იყო მოფერება, მღელვარება, მაგრამ განსაკუთრებით ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო თავად იუბილარის, ბატონ გერონტი კუხალეიშვილის სიტყვა. ეს იყო მოკლე რეტროსპექტივა დიდი ქალაქისა, რომლის წარსულიც გაცოცხლდა ჩვენს თვალწინ, რომლის წინაშეც ქედი მოიხარა იუბილარმა და პირიქით -მადლიერმა ქალაქმა.

ბრწყინვალე ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს განსაკუთრებულ ელფერს მმატებდა დახვეწილი საკონცერტო ნომრები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღონისძიების ორგანიზატორების დიდი მონდომების თაობაზე: ესენია ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია დარჯანია, სახელოვნებო გაერთიანების და ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელები ნინო პაჭკორია და გიგლა თურქია; ,,ფაზისის" აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დოდო ხუხია, ილიკო სუხიშვილის ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორი ახმედ ამბალია, კულტურის დარგის მუშაკები შორენა სართანია და მაია ტიკარაძე. ასევე შესანიშნავად გაართვეს თავი თავიანთ მოვალეობას საღამოს წამყვანებმა გია სურმავამ და გიორგი იოსავამ.

საღამოზე ნაჩვენები იქნა დევის ამბალიას ფილმი ფოთი-ფაზისი.

საიუბილეო ბანკეტზე მიიწვიეს სტუმარ-მასპინძლები, იყო დიდებული თამადა ქალაქის მერის მოადგილე ბატონი გიორგი ფარეშიშვილი, იყო სუფრა როგორც ქართული სულის აპოთეოზი. ამ იუბილემ ერთხელ კიდევ შეგვახსენა ვალი ჩვენი კაცობისა, რომ ფოთელობა ისეთივე ბედისწერაა, როგორც ქართველობა.

დაე, მუდამ სიამაყით ეთქვას დიდ იუბილარს

,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის ბედნიერი ვარ მე"!

ზ. აბრალავა.

ინტერვიუ ქ.ფოთის მერთან, ბატონ გოჩა კურდღელიასთან

ერთწლიანი მოღვაწეობის გადასახედი: ,,ყველა პროექტში, რომელიც ქალაქში ხორციელდება, ფოთელებია დასაქმებული

ერთი წელი გავიდა, რაც ფოთელებმა ქალაქის მერად აირჩიეს ბატონი გოჩა კურდღელია, იგი პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა და მენეჯერული საქმიანობა, მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა, წარმატებით გააგრძელა ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით. ხორციელდება დიდი პროექტები ყველა პარამეტრით, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის.

როგორია მერის ერთწლიანი მოღვაწეობის გადასახედი შევეცადეთ ამ ინტერვიუთი გადმოგვეცა.

ბატონო გოჩა,

- მალე ერთი წელი გახდება, რაც ქ. ფოთის მერად აგირჩიეს, რა იყო თქვენთვის მთავარი, პრიორიტეტული, რამდენად შეძელით მათი გადაწყვეტა?

-მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს, ჩემს ძვირფას ფოთელებს.

უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ დღეებში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც, როგორც ფოთელებს გვჩვევია, მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში უნდა ჩავატაროთ. წინასაარჩევნო გარემო არის ნორმალური, კამპანია მიმდინარეობს კანონის ფარგლებში. ვფიქრობ, რომ 28 ოქტომბრის არჩევნები ქალაქშო ექსცესების გარეშე ჩაივლის.

რაც შეეხება, ჩემს მიერ დასახულ გეგმებს, არც ერთი ჩემი წინასაარჩევნო დაპირება არ იყო საფუძველს მოკლებული. ეს იყო დასაქმების პრობლემის მოგვარება

თუ ინფრასტრუქტურული საკითხები.

ადგილობრივი ხელისუფლების უფრო ეფექტური მუშაობისთვის ჩვენ გავატარეთ სტრუქტურული რეორგანიზაცია. ამჯერადაც გვაქვს ვაკანსიები ინფრასტრუქტურის სამსახურში, გამოცხადებულია კონკურსი და ვიტოვებთ იმედს, რომ გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანები გამოგვეხმაურებიან.

გრძელდება მუშაობა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. დაწყებული სამშენებლო პროექტებიდან ბევრი დასრულდა, ბევრიც მიმდინარე წელს დაიწყო და წარმატებით განხორციელდა ან კვლავაც მიმდინარეობს. გვაქვს საინტერესო ინიციატივები, რასაც ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, აუცილებლად განვახორციელებთ.

- დღეს მთავარი პრობლემა ადამიანთა დასაქმებაა, სოციალური პრობლემები ეკონომიკის აღმავლობას უკავშირდება,რა გაკეთდა ამ მიმართულებით?

რას უნდა ველოდოთ?

- ვთვლი, რომ დასაქმების პრობლემა მოგვარდება ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად. ყველა პროექტში, რაც ქალაქში ხორციელდება ადგილობრივები არიან დასაქმებული. ვაწარმოებთ დასაქმების მსურველთა ბაზას და პერიოდულად ვუგზავნით კომპანიებს. ამ გზით ათობით ადამიანი დასაქმდა სამკერვალო ფაბრიკასა თუ სხვა კომპანიაში. ამჯერადაც „აჭარა ტექსტილეში“ არის მოთხოვნა მუშა-ხელზე, ისინი მზად არიან გადაამზადონ და დაასაქმონ 1000 ადამიანი.

- რა მდგომარეობაა წყალკანალიზაციის სისტემის მშენებლობის კუთხით, რიონზე ახალი ხიდის მშენებლობა და წყალგამყოფი კვანძის რეაბილიტაცია როგორ მიმდინარეობს?

-მოგეხსენებათ, რომ აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს ფოთში წყალგამოყოფი სისტემის რეაბილიტაციის პროექტს. ტენდერში გამარჯვებული ჰოლანდიური კომპანია „**Tahal Group BV**”, ივნისიდან ახორციელებს საქმიანობას. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილია ტერიტორიები ნარჩენების გადასატანად. წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 89 943 800 ლარია. პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ქალაქში, დამატებით, გამწმენდი ნაგებობი აიგება. მშენებლობას ერთობლივი საწარმო “**Ludwig Pfeiffer Hoch – und Tiefbau GmbH & Co. KG**“ და „**EMIT Group – Ercole Marelli Impianti Tecnologici S.r.l.**”– განახორციელებს .მისი ღირებულება 44 684 016 ლარია.

გარდა ამისა უკვე განხორციელდა მდინარე რიონზე წყალგამოყოფი ნაგებობის სრული რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა სარეგულაციო ჰიდროკვანძს, აღდგა კაშხლისა და რეგულატორის ელექტრომექანიკური მოწყობილობები, გარემონტდა წყალგამყოფი კვანძის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები. სამუშაოები ზაფხულში დასრულდა.

- რას იტყოდით ტრადიციული დარგების განვითარებაზე, ფოთელები ზღვას ვერ ვიყენებთ, არადა, თევზის მოპოვება და გადამუშავება (საკონსერვო საწარმოს შექმნა) რეალურია.

მეტი მხარდაჭერა სჭირდება ფოთელ მეზღვაურებს, თურქები უფრო პრიორიტეტულ მდგომარეობაში არიან რატომღაც.

- თევზჭერა ფოთისთვის ტრადიციული დარგია. მეთევზეობით დასაქმებულებს აქვთ ჩვენი დიდი მხარდაჭერა. გარდა ამისა, დიდია თევზჭერიდან მიღებული შემოსავლები გადასახადების ნაწილში.

ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში ახორციელებს პროექტს – „ინოვაციები საქართველოს მეთევზეობის ინდუსტრიაში”. ფუნქციონირებს ლაბორატორია და თევზის გადამუშავების სახელოსნო. ისინი თანამშრომლობენ არსებულ საწარმოებთან, მალე ქალაქში გვეყოლება სათანადოდ მომზადებული კადრები, რაც მთავარი კომპონენტია მეთევზეობის დარგის განსავითარებლად.

- მალე დაიწყება ქაფშიის რეწვა, თევზის სუნი ისევ შეგვაწუხებს?

- რა ღონისძიებები ტარდება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, განვითარების მიზნით, რა სიახლეებია ინვესტიციების მოძიების კუთხით?

- თევზის გადამამუშავებელ საწარმოებთან გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია. გვპირდებიან, რომ ეს პრობლემა სამუდამოდ იქნება აღმოფხვრილი, და აცხადებენ, რომ ხორციელდება სათანადო ტექნიკით ქარხნების გადაიარაღება და მზადება ახალი სეზონისათვის.

- ამასწინათ მოეწყო მალთაყვის უბნის განვითარების რეგულირების გეგმის პრეზენტაცია, რა სამუშაოებს მოიცავს და როდის დაიწყება იგი?

- მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა საჯაროდ იქნა განხილული. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა შპს ,,ურბანიკამ“, სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა და წარმოადგინა მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა. პროექტში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მაგრამ აქაც არის დიფერენციაცია, ზოგ შემთხვევაში ეს არის საოჯახო სასტუმროები, ზოგ შემთხვევაში სასტუმროები ბუნების მოყვარულთათვის და დიდი აქცენტი არის გაკეთებული სპორტული ტურიზმის განვითარებაზე. პროექტი ითვალისწინებს რამოდენიმე დიდი მოედნის და ერთი სტადიონის მშენებლობას. ამ ყველაფერთან ერთად აქვე არის გათვალისწინებული ცალკე უბანი სპორტსმენებისთვის. ეს არის ძირითადი ნაწილი, თუმცა, გათვალისწინებულია ასევე საგანმანათლებლო ფუნქცია, აქ დასაქმებული ადამიანებისთვის და სტუმრებისთვის სხვადასხვა მიმართულებით გაიმართება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში შემუშავდა კოლიმბარის კუნძულის განვითარების გეგმა აგროპარკის ფუნქციით.

- თქვენ ახალ გუბერნატორთან, ბატონ ალექსანდრრე მოწერელიასთან ერთად დაათვალიერეთ ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობა, რა არის გათვალისწინებული მისი რეაბილიტაციისთვის და რატომ არის ეს უნიკალური შენობა ასე განადგურებული?

- ყოფილი ჰიდრომელიორაციული სასწავლებლის შენობა, წარმოადგენს კულტურული მემკვიდეობის ძეგლს, ამდენად კიდევ უფრო დიდია დაინტერესება მისი შენარჩუნებისა და აღდგენის თვალსაზრისით. ჩენი მხარის გუბერნატორთან ალექსანდრე მოწერელიასთან ერთად მოვინახულე ეს შენობა. ხელისუფლების მთელი გუნდი ვმუშაობთ ინვესტორის მოძიებაზე.

- რა ვითარებაა ფოთის ინდუსტრიულ ზონაში, რის გაკეთებას აწარმოებენ ჩინელი ინვესტორები?

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილის მფლობელი ჩინურიკომპანია CEFC ენერგეტიკის, საფინანსო, კომერციულ, სავაჭრო და ლოგისტიკის სფეროებში ახორციელებს თავის საქმიანობას. საპრივატიზებო პირობების თანახმად, კომპანიამ ფოთისთიზ-ისგანვითარების მიზნით, არანაკლებ 150 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. ინვესტიციის განხორციელება ორ ეტაპად არის დაგეგმილი, კერძოდ, პირველ ეტაპზე, ორი წლის განმავლობაში 50 მილიონი, ხოლომე-2 ეტაპზე 100 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს.

მე სისტემატურად ვაწარმოებ შეხვედრებს კომპანიის წარმომადგენლებთან და სულ რამდენიმე დღეში კვლავ შევხვდები მათ.

მათი პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების, სასაწყობე მეურნეობისა და ლოგისტიკის განვითარებას.

- ამფითეატრის მშენებლობა (საერთაშორისო ფესტივალებისთვის) ქალაქის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია იყო თქვენი საარჩევნო დაპირება, რა კეთდება საამისოდ?

-ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მუშაობს პარკის განვითარების პროექტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამფითეატრის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, უკვე გითხარით მალთაყვის განვითარების გეგმაზე, სადაც არის წინადადებები ახალი ამფითეატრის მშენებლობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება, სპეციალისტებთან ერთდ, მალე იქნება მიღებული

- ამ დღეებში გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის განახლებული კოშკი, ვისი სახსრებით გაკეთდა ეს საშვილიშვილო საქმე?

- ფოთელებისთვის ცნობილია, რომ 19 ოქტომბერს ქალაქმა აღნიშნა დიდი საზოგადო მოღვაწისა და ქალაქისთავის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 175 წლის იუბილე. სწორედ, ამ ღირშესანიშნავ თარიღს დავუკავშირეთ, ქართუ ჯგუფის დაფინანსებით განახლებული, კოშკის გახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და დაფინანსებით მოხდა ნიკოლაძისეული ავეჯის რესტავრირება, რომელიც განთავსებულია კოშკში.

- წყალდიდობის დიდი გაკვეთილები გვაქვს რა კეთდება იმისთვის, რომ მოსახლეობას არ ეშინოდეს დიდი წვიმების, ხომ არ იგეგმება ახალი, მძლავრი სატუმბი სადგურის მშენებლობა?

- ამჟამად ვმუშაობთ დამატებით სატუმბი სადგურის მშენებლობის საკითხზე. ვაკეთებთ ყველაფერს, რომ არსებული სადგურები მუდმივად იყოს მწყობრში და არაფერმა შეაფერხოს მათი მუშაობა. გეტყვით იმასაც, რომ დაწყებულია მუშაობა არხების პროექტირებაზეც. ყველა ამ ღონისძიებამ აუცილებლად უდნა მოგვცეს შედეგი, რათა უხვის ნალექის მოსვლის დროს არ დაიტბოროს ქალაქის ქუჩები.

- წელს რა გაკეთდა სკოლების და ბაღების რეაბილიტაციისათვის, დამთავრდა თუ არა მათი გაზიფიცირება?

-წელს განვახორციელეთ ქალაქის №1,№6, № 10, №13 და №16 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გაზიფიცირება, დამონტაჟდა გათბობის სისტემები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 181 111 ლარი გამოიყო.

ამ ეტაპზე ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარეობს №11; №12; №13; №14; №15; №17 საბავშვო ბაღებში, სანიტარული ოთახების (სველი წერტილების) რემონტი. სამუშაოების ღირებულება 93 ათასი ლარია. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

- როგორ მიმდინარეობს ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა, საარჩევნო დაპირება იყო სპორტკომპლექსის და საცურაო აუზის აშენება. რა კეთდება ამ დარგში?

- საფეხბურთო სტადიონი მშენებლობის სტადიაშია. ამჯერად სახურავის მონტაჟი მიმდინარეობს. პარალელურად ეწყობა ტრიბუნები, მიმდინარეობს სტადიონის შიდა და გარეკომუნიკაციებით უზრუნველყოფა, ეწყობა თანამედროვე სტანდარტის გასახდელები, საშხაპეები, ლოჟა, ოთახები კომენტატორებისათვის, ავტოსადგომი. მოასფალტდება სტადიონის მისადგომები.

ასევე დაწყებულია ახალი სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა რაგბის სტადიონის მიმდებარედ. ეს იქნება თანამედროვე სტანდარტების სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

ტენდერში გამარჯვებულმა ესპანურმა კომპანიამ ,, **COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A. branch Georgia**”, უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. და მალე კიდევ ერთი ახალი ობიექტი მიემატება ქალაქს.

- რა კეთდება სოციალურად დაუცველ ადამიანთა დასახმარებლად, მრავალშვილიანი დედების, ახლად დაქორწინებულების წასახალისებლად.

- ცენტრალური პროგრამები პარალელურად, ჩვენი მუნიციპალიტეტი ახორციელებს 20 მდე, სხვადასხვა დასახელების, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამას. ეს არის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობის დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური და 5ზე მეტ შვილიანთა ერთჯერადი ფულადი წახალისება. უსინათლოებს გადავეცით ხმოვანი წნევის აპარატები.

იცით, ქალაქში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ბავშვთა ცენტრი, სადაც დედ-მამით ობოლი ბავშვები ცხოვრობენ და მათ ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი სწავლისა და განვითარებისათვის .ფუნქციონირებს უპოვართა სასადილო სადაც ყოველდღიურად 250მდე ადამიანი სადილობს.

კომუნალური გადასახადებით ვეხმარებით შშმ ბავშვთა დღის ცენტრსაც.

იცით, წლებია მეგობრული ურთიერთობები გვკავშირებს შვედეთის სამეფოს ქალაქ ოსტამართან. არაერთი პროექტო განხორციელდა მათი თანადგომით. ამჯერადაც ვმუშაობთ სოციალურ პროექტზე „სოციალური ჩართულობა ხანდაზმულთა და შშმ ბავშვებისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალური სერვისების განვითარებას ფოთში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა კადრების გადამზადება. მათთვის ჩატარდა არაერთი სწავლება-ტრენინგი. მალე ჩვენს ქალაქში მცხოვრები ხანდაზმული მოქალაქეებისათვი გვექნება ცენტრი, სადაც მათ გაეწევათ განსაზღვრული მომსახურება.

გმადლობთ ინტერვიუსთვის
გისურვებთ წარმატებებს,
ზ. აბრალავა

გვეძახის დედა ისტორია

თავისუფლებადაკარგულები

(დიდებიდან-დაცემისაკენ)



ფარნავაზიდან მოყოლებული დღემდე, (ქართული სახელმწიფოს შექმნის დღე) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, სრულიად ჩამოშალა და მიწასთან გაასწორა ერთიანი, ძლიერი ეგრისის სამეფოს დიდება, რომელსაც დღეს საქართველო ჰქვიანო!

ცნობისათვის: თუ დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში საქართველოს ტერიტორია 270 ათას კვ/კმ-ს შეადგენდა, ქუჯის მეფობის ჟამს ეგრისის სამეფო გაცილებით დიდი იყო. კოლხეთის (ეგრისი) სამეფო აღწერილი აქვს ტოლემეს: ,,ჩრდილოეთით კოლხეთს სახღვრავს ნაწილი სარმატისა (ძველი სკვითია), დასავლეთით პონტექსინის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მდინარე კორაქისა და მდინარე ფაზისის ზღვის შესართავის კუთხეში. აღმოსავლეთით ქართლი; სამხრეთით კაბადოკიის პონტოს ნაწილი და მომდევნო დიდი სომხეთის ნაწილი, (რაც შეეხება სომხეთის ნაწილზე ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი) რომელიც მდებარეობს 74⁰-44-40 დღეს ის საქართველოს სახელმწიფოებრიობის პიროებში შეადგენს 69 ათას კვ/კმ-ზე ნაკლებს, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო მცირდება. ვაიქართული პოლიტიკის და ბარბაროსთა აგრესიული სამხედრო დაპყრობით მოქმედების შედეგად, რასაც ,,კეთილშობილმა ევროპა-დასავლეთმა მცოცავი ოკუპაცია უწოდა და იძულებით დაკარგული ტერიტორიების; აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია დამოუკიდებელი რესპუბლიკების არცნობით შემოიფარგლნენ. ხოლო ქმედითი ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არ გადაუდგამთ და რაც დრო გადის, თაობათა ცვლის შედეგად მივიწყებას თუ არა, აქტივობას ნელნელა კარგავს, როგორც თაობათა ცვლის, შედეგად უაღრეს წარსულში (ჩვენი ძირძველი კუთხეების დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის, არათუ აქტივობა, არამედ სიტყვაც კი არ თქმულა მის დასაბრუნებლად. ასე ნელნელა ჩვენ თვალწინ ჩამოიშლება ერთდროს ძლიერი ეგრისის სახელმწიფო (საქართველო)რომელსაც (თუ ასე წავიდა საქმე ქვეყნისა, მას მხოლოდ ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებენ სხვა დაკარგულ სახელმწიფოთა და ეთნოსთა შორის, როგორც ერთ დროს არსებული ქართული სახელმწიფოს სხვა პერსპექტივა გადარჩენის ვაი პოლიტიკოსების ხელში არააქვს! და, ნურავინ იფიქრებს ეს ყველაფერი შეუძლებელია, ასე ფიქრობდნენ მაშინაც, როდესაც იკარგებოდა ვაიქართველების ღალატით ეგრისის სამეფოს შემდგომი უმეტესი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი. ცნობისათვის:

,,1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით, (რაც მაშინდელი ფეოდალური არისტოკრატიის დანაშაულებრივი შედეგი იყო) დაიწყო ფართომაშტაბიანი გეგმა საქართველოს და შემდგომი მთელი კავკასიის ოკუპაციისა". როგორც ავღნიშნე: ,,თუ დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 270 ათას კვ/კმ-ს. 19017 წლამდე იგი დაიყვანეს 159 ათას კვ/კმ-მდე. საქართველოში დაასახლეს და მიწები დაურიგეს რუს სექტანტებს -დუხობორებს, კაზაკებს, სომხებს გერმანელებს, თურქებს, თათრებს და სხვა". და ეს საშინელებანი, (რისი ჩამოთვლაც ასე ძლიერ მზარავს) ვაიქართველის თუ არაქართველის მიერ (რა მნიშვნელობა აქვს) ქვეყნისთვის დამანგრეველი პოლიტიკის შედეგი გახლდათ, მხოლოდ მცირედნი იმაღლებდნენ ხმას გაბატონებულთა წინააღმდეგ, მაგრამ მათი ხმა, როგორც დღეს! ხმა მღადადებლისა უდაბნოსა შინა რჩებოდა.

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს მეორე ანექსია-ოკუპაცია, წითელ ტერორს მრავალი ათასი ქართველი შეეწირა, საქართველოში შექმნეს 2 ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი. ასე ჩამოაშორეს ქვეყანას მისი ძირითადი მიწები: ართვინის-3330 კვ/კმ; ფოცხოვის 588 კვ/კმ; არტანის 5137 კვ/კმ; ოლთისის 351კვ/კმ; ზაქათალას -3564კვ/კმ;სოჭი და მისი შემოგარენი.

1991-1992 წწ-ში (დეკემბერ - იანვარი) რუსეთის ნეოკომუნისტურმა რეჟიმმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მე-3 ანექსია-ოკუპაცია. აქაც ქართველი მოღალატეების ძირგამოუთხრელმა პოლიტიკამ უცხო ქვეყნის ჯარის დახმარებით შეძლეს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა. პრეზიდენტი ჯერ განდევნა თავის სამშობლოდან, ხოლო შემდგომ მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, რომლის მიზეზი გახლდათ ზვიად გამსახურდიას ეროვნული პოლიტიკის მკაცრი დაცვა და არდაშვება იმ მოღალატური ძირგამომთხრელი პოლიტიკის გატარების, რამაც დაანგრია და მიწასთან გაასწორა ჩვენი ქვეყნის ეროვნული დოქტრინა. რის გამოც სახელმწიფომ დაკარგა თავისი ფუნქცია და მას ჩაენაცვლა, (თუ ჩაანაცვლეს) ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებელური მასონური პოლიტიკა, რომელიც ასე დაუნდობლად ანადგურებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, გარკვეული ხნის შემდეგ (ღმერთმა ნუ ქნას) ევროპა-დასავლეთმა ცნოს კიდეც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, როგორც კარგახანს არ ცნობდნენ ბოლშევიკურ საბჭოთა რუსეთს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ცნეს და საზღვრებიც გახსნეს. ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა, (როგორც თანასწორთა) აღადგინეს და ყველა მიმართულება (ეროვნულობით) მსოფლიო პოლიტიკასაც წარმართავენ. ამ ფონზე ნამდვილად ვაიჩვენი ქვეყანა ძალზე უსუსურად გამოიყურება. ეს არათუ სამწუხაროა, არამედ თუ კარგად გადავხედავთ ჩვენ წარსულ ისტორიას, რანი ვიყავით და რანი გავხდით, მაშინ მივხვდებით, რომ ის რაც ხდება ჩვენს თავს, სხვას ვერაფერს დავარქმევთ გარდა ტრაგედიისა. თუ, დროზე, სანამ ეროვნული ტრაგედია არ გადაგვექცა სტატისტიკად, რომელსაც შემდგომ (გარწმუნებთ) არაფერი ეშველება, რადგან არც არაფერი გვექნება დასაცავი, ვინაიდან დამცველი არავინ დარჩება და ნუ იფიქრებთ, იმას, რომ ეს ყველაფერი ცუდ ზღაპარს გავს, რომელიც არ იმსახურებს ყურადღების მიქცევას. მინდა გითხრათ, რომ ის რაც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელო ყურადღებასაც არ იმსახურებდა, ის ჩვენი ქვეყნისთვის ეროვნულ უბედურებად გადაგვექცა, ასე იყო წარსულში და ახლა დღესაც, მაგრამ ამიტომ ვთვლი საჭიროდ და მნიშვნელოვნად, რომ დროზე მიექცეს მთავარი ყურადღება იმ უმნიშვნელოვანეს მიზეზებს, რომელსაც ქვეყნის არსებობის დიდი საფრთხე შეუქმნა და აქ გვარგადაკეთებული იქნება თუ ეთნიკურად ქართველი მოღალატური პოლიტიკის გატარების ბრალეულობის შედეგი იქნება, ვინაიდან ათასწლეულების პოლიტიკამ გვიჩვენა ქართველი ვერ და არ გამოდგა სახელმწიფოს მმართველად. მიზეზი ჩვენი წარსული ისტორიიდან მოყოლებული დღემდე საკმაოზე მეტი გვაქვს, სადაც (გამობრწყინების გარდა) მთელ ქვეყანას მუდმივ ღალატში უწევს ცხოვრება და მინდა გითხრათ, რომ ეს უკვე ჩვეულებრივ წესად იქცა, სადაც მწავვე რეაქცია ხალხისაგან, (გახდა ვიწრო წრეში უკმაყოფილების გამოხატვისა) არ იგრძნობა. აი, ეს არის ის მთავარი მიზეზი, ერის გადაშენებისა, რომელსაც არ გააჩნია ბრძოლის უნარი და: ,,სულერთია ჩემთვის" პოზიციაში იმყოფება. და ეს, განსაკუთრებით დღეს აშკარად და ნათლად შეიმჩნევა. არავინ იფიქროს, რომ მე ამით ვცდილობდე გადარჩენის იმედის ამოწურვას, არამც და არამც! მაგრამ მე არ შემიძლია ჩემს ერს სიმართლე არ ვუთხრა და მუდამ, (როგორც ეს ქართველ პოლიტიკოსებს ჩვევათ, ,,იმედის" და ,,ოცნების" ხიბლში ვამყოფო, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა! ასე მეგობრებო, დღეის მდგომარეობით, არათუ სინათლე, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა სულ უკუნშია, სიბნელემ მოიცვა ეს ქვეყანა, სადაც გვარწმუნებენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის, მცირედი პრობლემების გარდა და, რომ მაღე, (ეს ბედკრული ქვეყანა) ჩვენი სამშობლო გაბრწყინდება, ასე იყო და ასეა დღესაც, მთელ ერს თვალებში გვაყრინა ნაცარს, თვითონ კი ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე მრავალი საუკუნეებიდან მომდინარე დღემდე, სრულ განცხრომაში არიან. ქვეყნის ბედი კი ისე ადარდებთ, როგორც მთელ ერს პუტინის კეთილდღეობა.

ეხლა, რაც შეეხება, იმ საკითხს, რის შესახებ წერილის თავში ავღნიშნე, რომ სომხეთზე მექნებოდა საუბარი, ეს არის მეგობრებო ის რეალობა, რის წინაშე ჩვენი ქვეყანა, (განსაკუთრებით დღეს) მრავალი საუკუნეებია დგას, ეს გახლავთ ჩუმი, მაგრამ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, სადაც მრავალი გვარგადაკეთებული სომეხი ქვეყანას თითქმის ყველა საკითხში, თანამდებობაზე, წამყვან პოზიციებზე არიან, რაც ნიშანდობლივია იმისა, რომ ამ სახელმწიფოს ეტაპობრივად ფეხი ეცლება თავისი მშობლიური მიწიდან. სათქმელი ეს ყველა სომეხს როდი ეხება, ვინაიდან მე ძალიან ბევრ სომეხს ვიცნობ, ვისთვისაც საქართველო ასევე სამშობლოა, როგორც ჩვენთვის, რომელსაც არასოდეს არ გაცვლის სხვა ქვეყნის სამოთხეზედა, მაგრამ ეს ვერ ახდენს იმ ,,ველიკაია არმენიას" პოლიტიკურ ზეგავლენას, რომელიც ემისრები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკვანძო თანამდებობებზე არიან ჩაბუდებულები. აი, ვინ უქმნის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას უდიდეს საფრთხეს, თუ დროზე არ იქნა რეალური ღონისძიებები გატარებული, ასევე არანაკლებ სხვა გადამთიელთაგან განწმეენდა საკვანძო ადგილებიდან, სადაც ჩვენი ქვეყნის, მისი მომავლის სამჭედლოა და ნუ ჩავრჩებით ღრმა ლეთარგიულ ძილში, რის შესახებ გვაფრთხილებდა დიდი ილია: ,,სულ ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება". გავიღვიძეთ? რათქმა უნდა არა! ქვეყანას კი გამომღვიძებელი, (რომ გადავრჩეთ) სჭირდება და ის ვერ იქნება ქართველი, ვინაიდან, კვლავ გავმეორდები (ფარნავაზიდან მოყოლებული დღემდე მცირედი გამობრწყინების გარდა) ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, სადაც ქვეყნის, მთავარ ტრაგედიად ღალატი არის გამეფებული და ეს რბილად რომ ვთქვათ ქართული პოლიტიკის შედეგია.

აქედან გამომდინარე, ვაცხადებ: მრავალათასწლიანმა ისტორიულმა ფაქტმა დაგვანახა, რომ ქვეყნის გადარჩენა ხალხმა, მხოლოდ კოლხური ჯიშის გენი, ჭეშმარიტ შთამომავალს, რომელიც განწმენდს ეროვნული ღირსებების მატარებელ ქართველებთან ერთად, ქვეყნის სათავეში მოკალათებულ ურდოებისაგან (როგორც ეს დავითმა მისი გამეფების ჟამს გააკეთა) რის შემდგომ დაიწყება ქვეყნის ჭეშმარიტი აღორძინება და საქართველო ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს!!!

მე ღრმად მწამს და მჯერა ჩვენი სამშობლოს რეალური გამარჯვების გასაღები კოლხურ გენშია (ღმერთმა დამიფაროს ვინმეს დაკნინების მცდელობაში, ერთი წამითაც გავიფიქრო) მის სულიერ სიმტკიცეში, მის მრწამსში და გამბედაობაში, რომელსაც გონი სიყვარულისა ამოძრავებს და ჩვენი სამშობლოს გამარჯვების ერთადერთი სულიერი წყაროა. (მოკლე განმარტება ,,ის გვეხება, რომელშიც ია-სთან, ერთად ძე-ზე ან შვილ-ზე და სხვა ქართულ გვარზე მთავრდება. ძალიან ბევრი ამ გვარის წარმომადგენლები კოლხური მოდგმისანი არიან და თუ როგორ არის შესაძლებელი ამის შეცნობა. შეცნობა მათი სულიერი მდგომარეობიდან. ეს არის გონი სიყვარული და თავგანწირვა სამშობლოსადმი, სადაც თავისი ტრადიციული მაღალი კულტურით მკაფიოდ გამოირჩევიან დანარჩენი ვაი ქართველებისაგან, რამაც რჩეული მოდგმა დღემდე მოიყვანა მთელი თავისი სულიერი ბრწყინვალებით, რომლის სრულად გაბრწყინებას კვლავ ღვთის მადლით შემოსილი მხოლოდ კოლხი სეძლებს და არავინ სხვა!!!

ღმერთმა ინებოს და მისი მოვლენა მალე იხილოს სრულიად საქართველომ-ამინ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნიკოლოზ იბერი

ღირსეულ მამულიშვილს, სახელოვან იუბილარს, ბატონ იური იროდის ძე კვარაცხელიას

თქვენო აღმატებულებავ - ბატონო პოლკოვნიკო! ჩვენო იური იროდისძევ!

ქვეყნის გამჩენის წყალობით, კაცთა მოდგმას მშვიდობიანად გაუთენდა სამყაროს შექმნიდან 7526 წლის ღვინობისთვის 03 თქვენი ამ ქვეყნიდან მოვლენიდან 70 წელი!

სახელოვანია თქვენი კვარაცხელიების ძირძველი და ძარღვმაგარი კოლხური მოდგმის ღირსეული შვილის განვლილი ცხოვრების გზა! სხვანაირად ვერც იცხოვრებდით კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალების კალთებზე. ულამაზეს რაჭაში არწივის ბუდესავით აღმართული კვარას ციხის პირველი გმირი მეციხოვნის შთამომავალი ამაყად რომ გადმოსძახა მთელს ამერ-იმერს -,,მე კვარასციხელი ვარო"- სწორედ იქედან დასახლდნენ თქვენი სახელოვანი წინაპრები სამეგრელოში-მთიან ლაკადაში და ბარად ხორგუჯში! ეს მათ ეპყრათ ხელთ კოლხი მეჯოგის -როგორც უთვალსაჩინოესი, საპატიო და დაფასებული მშრომელის ,,მეფური" კვერთხი.

თქვენთან ერთად სამშობლოს სუნთქვით სუნთქავს და გულით გულობს კვარაცხელიათა გვარის 13618 ღირსეული მამულიშვილი, რომელთაც საამაყოდ აქვთ, რომ რიცხოვნობით მეექვსე გვარი არიან საქართველოში.

ლამაზად ცხოვრების გვირგვინია თქვენი დიდი ოჯახი, ზეცად ამაღლებული მეუღლე-სახელოვანი ქალბატონი ცისანა ირაკლის ასული ნაჭყებია-კვარაცხელიასი, ვის ნათელ ხსოვნასაც სათუთად ინახავთ, თქვენი შვილები-თამარი და ირაკლი, რძალი ნატა პატარაია, შვილიშვილები ლუკა ფილია, ალექსი და ნიკოლა კვარაცხელიები, ვისაც უყვარხართ და ეამაყებით.

ჩვენც გვიყვარხართ და ვეამაყებით ჩვენო სამაგალითო ხელმძღვანელო, ვისთანაც ერთად ქვეყნის უანგარო სამსახურში განვლილი წლები, ჩვენი ცხოვრების სიმდიდრეა.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე იური ბატონო.

საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროს ვეტერანები.

მილოცვა

ოქტომბერში დაბადებულებს

შვილიშვილს სანდრო ნიკიფოროვს და შვილთაშვილს საბა სანაიას

ეს თქვენს მოვლენას, ეს ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს ჩვენო სიხარულო და იმედო – სანდრო და საბა! თქვენით ბედნიერია მშობლები ნინო ჭავჭანიძე და მახო ნიკიფოროვი, მარი ჭავჭანიძე და ჯაბა სანაია, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ბებია და ბაბუას განცდებს, მოლოდინებს, თქვენზე ფიქრში, ზრუნვაში ვათენებთ და ვაღამებთ-თქვენ ჩვენი სიცოცხლის გაგრძელება ხართ.

იხარეთ, იბედნიერეთ და გაახარეთ მშობლები და თქვენი ქვეყანა თქვენი კარგი სწავლითა და კაცობით.

თქვენი ბებია და ბაბუა, რუსიკო და თამაზ ჭავჭანიძეები

დარეჯან გიგაშვილი

ეპოქათა ისტორიული პარალელები

საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური პოლიტეკონომიის საფუძვლები
ვერსალის ლაბირინთი და ვესტფალის ზავი

(ნაწყვეტი წიგნიდან)

სბჭოთა კავშირის (სსრკ) თხუთმეტი სოციალისტური მომმე რესპუბლიკის სოციალისტურ - ეკონომიურმა ფორმაციამ ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშოვის გადადგომის შემდეგ (3(15) აპრილი, 1894, კალინოვკა, დიმიტრიევსკის უეზდი, კურსკის გუბერნია, რუსეთის იმპერია – 11 სექტემბერი 1971, მოსკოვი, სსრკ) თანდათან დაიწყო თავისი იდეის ძირითადი ძალის – მძიმე ინდუსტრიის განუხრელი ზრდის შესუსტება, რომელიც საბჭოთა ხალხმა შექმნა მძიმე შრომით, არაადამიანურ პირობებში როგორც მეორე მსოფლიო ომამდე, ასევე ომის შემდგომ დაწყებული ქვეყნის დასავლეთ საზღვრებიდან, რომელიც გადიოდა კარპატებზე, შორეულ აღმოსავლეთამდე – სახალინით და კამჩატკით დაწყებული, კურილიის კუნძულების გავლით ვლადივასტოკამდე. აშენდა ახალი ქალაქები, რაიონები და ოლქები, ძირითადი საშუალებები და ქვენის ინფრასტრუქტურა.

მსოფლიო ბაზარზე საბჭოთა ფული - მანეთი უზრუნველყოფილი იყო ოქროთი, ქონდა სტაბილური მსყიდველობითი უნარი. ქვეყნის შიგნით მოქმედებდა სსრკ სახელმწიფო ბანკის სისტემა, რესპუბლიკური ბანკების განყოფილებებით და ფილიალებით.

საერთაშორისო ბაზარზე ანგარიშსწორება ხორციელდებოდა გადასაყვანი მანეთის კურსით კონვერტირებად ვალუტაში და კლირინგის საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების წევრ ქვეყნებთან (სევ).

ვაჭრობა ხორციელდებოდა "ვნეშტორგის", "პრომმაშიმპორტის" და სხვა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურების მეშვეობით. საფინანსო ანგარიშსწორება ხორციელდებოდა სსრკ "ვნეშეკონომბანკის" მიერ, რომელიც იმყოფებოდა მხოლოდ მოსკოვში. საბჭოთა კავშირის დაშლა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო საბანკო სისტემის დაშლით – მისი რეორგანიზაციით და ფულის რეფორმით გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოდან.

საბჭოთა რესპუბლიკების ერთობის რღვევა შესამჩნევი გახდა იმ პირთათვის, რომელთაც იცოდნენ ამ პროცესის არსებობა და მისი დეტალები, მაგრამ არ გამოქონდათ საყოველთაო სამსჯავროზე. სწორედ მათი წრიდან გამოჩნდნენ პირველი პოლიტიკური დისიდენტები და კარგად ჩამოყალიბებული ადამიანთა უფლებების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობდა დასავლეთის მხარდაჭერით. ეს ორგანიზაცია დღემდე მოქმედებს.

ეს არის მაშტაბური სიონისტური დინების ერთ-ერთი კარგად შენიღბული იდეოლოგიური ორგანიზაცია, რომელიც დღემდე ცდილობს ჩამოყალიბდეს იერარქიად მსოფლიო სოციუმში და აქვს გეოპოლიტიკური ინტერესები. მის მისაღწევად ისინი სარგებლობენ მსოფლიო კულტურის სხვადასხვა შემოქმედებითი მიმდინარეობების სიმბოლოებით, ერთმანეთს და ახალბედებს ყველანაირად ხელს უწყობენ უძველესი ერების რარიტეტების, ხელოვნების ნიმუშების, მათი კულტურული მემკვიდრეობის და ეროვნული სიმდიდრის მოკვლევასა და დაუფლებაში.

საბჭოთა კავშირის დივერსიული რღვევის პროცესი საქართველოში დაიწყო ყველაზე ადრე რესპუბლიკებს შორის. დასავლეთის და საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მიერ, საქართველოს ინტელიგენციის ნაწილი, საბანკო სისტემა, აღმსრულებელი ორგანოები და სამეურნეო სტრუქტურები ჩათრეულ იქნენ დანაშაულებრივ, ანტისახელმწიფო მოქმედებებში და ოპერაციებში. ისინი ინსტრუქციებს ღებულობდნენ დაინტერესებული მხარეებიდან და დასავლეთიდან ლიტერატურისა და კინემატოგრაფის მეშვეობით.

პოლიტიკურ ენაზე ეს პროცესი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს 45 წლიან პოლიტიკურ რუკად. სამწუხაროდ, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ნაწილი აღმოჩნდა ამ პროცესის მძევლები. მათი სამეფო კარი უკვე დიდი ხანია იმყოფება ესპანეთში, რის გამოც აღმოჩნდნენ განუწყვეტელი სიმბოლური პროცესების ჭადრაკის დაფაზე, რომელსაც ქვია სამშობლოსათვის ბრძოლა.

გასული საუკუნის 50-ნი წლების მსოფლიო პოლიტიკური წრეებისთვის გასაგები გახდა, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი აპირებენ ამ ყურბანების სიმდიდრის მითვისებას, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა ეს უკიდეგანო ქვეყანა, რომელიც მზად იყო ასათვისებლად. შემოქმედებითი ინტელიგენციის მისწრაფებას აღთქმული თავისუფლებისკენ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩამოხსნილიყო რკინის ფარდა მათ და ცივილიზებულ სამყაროს შორის, ადგილობრივი იდეოლოგები, იდეოლოგიური სამსახურები და წრეები იყენებდნენ საქმიანი არხების დასაწყობად, კონკრეტული პრეფერენციების მიღებისთვის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კგბ –მ გააგრძელა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (ნკვდ) –ს ომამდელი საკადრო პოლიტიკა. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ყველაზე სუსტი ნებისყოფის, უნიჭო და მართვადი ადამიანები. ძალიან ძნელია ასსეთ ხალხთან გამკლავება, ისინი არიან ანგარიშიანი და ყოველთვის ეძებენ სარგებელს. სამწუხაროდ, ასეთი იყო მმართველი პარტიის იდეოლოგია.

ფაშისტურმა გერმანიამ რიგით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაგვიტოვა სიმ-



მ. შოლოხოვის რომანის ეკრანიზაცია ,,ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის". მონაწილეობდნენ: ვ.შუკშინი, ბ.ბუხროვი, ი.ნიკულინი,ს. ბონდარჩუკი,(ხეოსოხი) ვ. ტიხონოვი

ბოლური ნიშნები, რომელიც გასაგები იყო მთელი მსოფლიოსათვის და უფრო მეტად საქართველოს საზოგადოებისთვის, რომელთა შორის იყვნენ ებრაელები, საქართველოს ძირითადი მცხოვრებლები, რომლებიც ძლიერ არ დაზარალებულან მეორე მსოფლიო ომის დროს.

ერთ-ერთი ასეთი ნიშანი იყო ავსტრიის ქალაქ მაუთჰაუზენის ჰოლოკოსტის კონცენტრაციული ბანაკის ტყვე, წითელი არმიის გენერალი დიმიტრი მიხაილოვიჩ კარბიშევი, რომელიც 1945 წლის 18 თებერვალს ჯერ გაყინეს, მერე კი დაწვეს ღუმელში. ეს იყო სუნიტიზმის ნიშანი. მეორე კი იყო 1945 წლის 20 მაისს ჰოლანდიაში (ნიდერლანდები) კუნძულ ტექსილზე, ომის დამთავრების შემდეგ, 800 აჯანყებული ქართველი ტყვის დახოცვა მათ მიერ, რომელებიც ინგლისელი მოკავშირეების იმედზე დარჩნენ. მათ ეხმარებოდა ადგილობრივი მკვიდრი დედა კორნელია, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ეწვია საქართველოს, და მოინახულა გადარჩენილი ქართველი ტყვეები. მათ შორის იყო ფოთის მკვიდრი მოწერელია.

დედა კორნელია გახლდათ საბჭოთა სამართალდამცველი, სიონისტი მწერლის კორნეი ივანოვიჩ ჩუკოვსკის (31 მარტი, 1882, სანკტ-პეტერბურგი – 28 ოქტომბერი, 1969, მოსკოვი) სიმბოლო. მისი სახელი დაბადებიდან იყო ნიკოლაი ემანუილოვიჩ კორნეიჩუკოვი (ლევე(ი)ნსონი — საბავშვო მწერალი, მემუარისტი, მთარგმნელი და ლიტერატურმცოდნე.

კორნეი ჩუკოვსკის პიროვნება 1972 წლის 14 მაისს საბოლოოდ იქნა მიბ-

ეროი ყველასთვის და ყველა ეროისთვის

მული ქალაქ ფოთთან, მის მაცხოვრებელთან, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში (ურიის კარი) დაბადებულ ვლადიმერ (ველი) დავითის ძე გიგაშვილის პიროვნებასთან (14 მაისი, 1928, სოფელი ბანძა, საქართველო – დეკემბერი, 1999, ფოთი, საქართველო). ის დაბადებიდანვე იმყოფებოდა "ბაგრატიონი"-ს გრიფის ქვეშ. მისი მეუღლე, სანია ალექსანდრეს ასული ათუაშვილი (11 სექტემბერი 1928, ქალაქი თელავი, საქართველო, - 16 აგვისტო, 2002, ქალაქი კიევი, უკრაინა, დასაფლავებულია ფოთში) დაიბადა და გაიზარდა თელავში, ბაგრატიონთა სამეფო კარის სიმბოლურ ოჯახში.

გრიფი "ბაგრატიონი" გამოყენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს და ქართულ ფილმში "გიორგი სააკაძე" (1942). ეს იყო პირველ რიგში გზავნილი, საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტისადმი – „თავისუფალი საფრანგეთი", შემდგომში „ებრძოლი საფრანგეთი" (ოქტომბერი 1940 — ივნისი 1943), რის შედეგადაც 1944 წლის 2 დეკემბერს დე გოლი და მისი დელეგაცია ესტუმრნენ მოსკოვს, სადაც ისინი იმყოფებოდნენ მოლაპარაკებაზე რვა დღის განმავლობაში, შეხვდნენ სტალინს.

ეს არ იყო დე გოლის საბჭოთა წარმომადგენლობასთან შეხვედრის პირველი შემთხვევა.

- "1941 წლის 25 ნოემბერს შარლ დე გოლმა ალექსანდრე ბოგომოლოვთან კერძო საუბრის დროს თქვა – იმის გამო, რომ დღეს საბჭოთა კავშირში წყდება მსოფლიოს ბედი, მას უნდა, რომ ფრანგები იბრძოდნენ წითელი არმიის რიგებში მათ მხარ და მხარ გერმანელების წინააღმდეგ. ბოგომოლოვმა აცნობა მოსკოვს და 7 დეკემბერს დეპეშით მიიღო პასუხი მოლოტოვისგან, რომელშიც ის თანხმობას უცხადებდა "თავისუფალი საფრანგეთის" წარმომადგენლობას მოსკოვში მიღებაზე". ვიკიპედია

ვერმახტში იცოდნენ ამ გრიფის შესახებ. ის დაკავშირებული იყო ბრაზილიელი მწერლის ჯორჯი ლეალ ამადუ დი ფარიას (10 აგვისტო 1912, იტაბუნა — 6 აგვისტო 2001, სალვადორი) სახელთან. განთქმული მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო გასაიდუმლოებული საბჭოთა მზვერავი ცნობილი სახელით აბელი, რომელიც ვლადიმერ (ველი) დავითის ძე გიგაშვილს ეკუთვნოდა ბიძად, იყო მისი მამის დავითის (დათიკოს) ძმა მამის მხრიდან.

არსებობს მრავალი დამამტკიცებელი ფაქტი – ფოტოსურათები და საბჭოთა და საზღვარგარეთული კინემატოგრაფი, თვით მწერლის ნაწარმოებები. მის შესახებ იცოდა ოჯახმა, ქალაქ ფოთის და ქვეყნის სპეცსამსახურებმა.

1972 წლის 14 მაისს ვ.დ. გიგაშვილის დაბადების დღისით საავადმყოფოში გაურკვეველი მიზეზების გამო გარდაიცვალა ალექსანდრე ევდოკიმოვიჩ კორნეიჩუკი (12(25) მაისი, 1905, სადგური ხრისტიანოვკა, კიევის გუბერნია, რუსეთის იმპერია – 14 მაისი, 1972, კიევი) — უკრაინელი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი და ჟურნალისტი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1943). სოციალისტური შრომის გმირი (1967), ხუთი სტალინის პრემიის ლაურეატი (1941, 1942, 1943, 1949, 1951), საერთაშორისო ლენინის პრემიის ლაურეატი "მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის გაძლიერების საქმეში" (1960). ეტყობა თანდათან მიიყვანეს სიმბოლურ მდგომარეობამდე. საკართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ შესანიშნავად იცოდა ამ ფენომენის შესახებ, ამიტომ საქართველოს ტელევიზიაში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა პოლიტიკური მიმომხილველი ამირან ავალიშვილი, რომელიც გავდა კორნეი ჩუკოვსკის. ამგვარად, ეს გრიფი მიება რომის წმინდა იმპერიას – მესამე რეიხს.

- „ვესტფალის ზავი" წარმოადგენს ორ სამშვიდობო ხელშეკრულებას – მიუნსტერის და ოსნაბრიუკის, რომლებიც ხელმოწერილია 1648 წლის 15 მაისს და 24 ოქტომბერს. მათ დაასრულეს რომის წმინდა იმპერიის ოცდაათწლიანი ომი.

ვესტფალის მშვიდობას აკუთვნებენ ასევე ესპანეთსა და ნიდერლანდების გაერთიანებულ პროვინციებს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა 1648 წლის 30 იანვარს. ამ ხელშეკრულებამ დაასრულა ოთხმოც წლიანი ომი. მკვლევარი ისტორიკოსები 1625 -1648 წლებში ჰოლანდიასა და ესპანეთს შორის საომარ მოქმედებებს ერთდროულად აკუთვნებენ როგორც ოცდაათწლიან ასევე ოთხმოცწლიან ომებს.

ვესტფალის ზავის ხელშეკრულება მიღებულ იქნა პირველ თანამედროვე დიპლომატიურ კონგრესზე (შეკრებაზე). მან სათავე დაუდო ევროპაში ახალ წესრიგს, რომელიც ემყარებოდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. ხელშეკრულება ვრცელდებოდა რომის წმინდა იმპერიაზე, ესპანეთზე, საფრანგეთზე, შვეიცარიაზე, ნიდერლანდებზე და მათ მომხრე რომის წმინდა იმპერიის ცალკეულ დიდგვაროვნებზე. 1806 წლამდე ოსნაბრიუკის და მიუნსტერის ხელშეკრულებები წარმოადგენდნენ რომის წმინდა იმპერიის კონსტიტუციური კანონის ნაწილს.

პირინეის ზავმა, რომელიც შედგა 1659 წელს, საბოლოოდ დაასრულა ომი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. მას განიხილავენ როგორც მხარეთა გაერთიანების დასკვნით ეტაპს. ვიკიპედია.

ჩანს, რომ რომის წმინდა იმპერიამ ახალი წესრიგის დამყარება გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც რუსეთის სამეფომ 1613 წელს სოლიდარობის ნიშნად ტახტზე აიყვანა მიხეილ ფეოდოროვიჩ რომანოვი

მოგვიანებით, რომის წმინდა იმპერიასთან კავშირის დამყარება სცადა საქართველოს სამეფო ტახტის ელჩმა, სულხან საბა ორბელიანმა, მაგრამ ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მიაღწია. მათ არ მოუტანეს მშვიდობა ქართველ ხალხს, ისევე როგორც ამჟამად. მათი მიწიერი ზრახვები არ ითვალისწინებდა ქართულ მიწაზე სიმშვიდეს.

ქართველი იგავარაკების მწერლის ვიზიტებს რომის წმინდა იმპერიის ქვეყნებში უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველოში გაჩნდნენ კათოლიკეები. პირველმა კათოლიკური ეკლესიის მსახურის სუტანა მიიღო თითონ სულხან საბა ორბელიანმა (1658 – 1725). 1692 წელს გახდა ბერი (მონახი), რომ ქონოდა თავისუფალი

საბჭოთა ფილმი ,,ბაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე" მსახიობი საშა სავჩენკო

მოქმედების შესაძლებლობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დასაკავშირებლად.

1713 -1716 წლებში დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით ყოფნის შემდეგ, სადაც ოფიციალურად მიიღო კათოლიკობა, 1724 წელს ქართლის მეფესთან ვახტანგ VI-სთან ერთად გაემგზავრა რუსეთში. ის იმყოფებოდა დარეჯან არჩილის ასულის სასახლეში, სოფელ ვსეხსვიატკოეში (წმინდანები) მოსკოვის ახლოს, სადაც გარდაიცვალა 1725 წელს. დასაფლავებულია წმინდანთა (ვსეხსვიატიხ) ტაძარის სასაფლაოზე.

რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა მხოლოდ ორი დღით მეტი იცოცხლა. არსებობს ვერსია, რომ ისინი ორივე მეფის ქალიშვილმა დარეჯანმა მოწამლა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალაქი ჩვენი საზრუნავია

ზღვის სანაპირო სკვერი ფაზისი - მინი დისნეილენდი
ვაჟა სიჭინავა – ქველმოქმედი და მოქალაქე



არც ისე, ბევრია საქართველოში ქველმოქმედი და მეცენატი, მაგრამ პიროვნება, რომელზეც ამ საგაზეთო წერილში გიამბობთ, უბრალოდ ფოთის მკვიდრია, ისინი 8 და - ძმა ყოფილან, ერთ-ერთი მათგანი გივი სიჭინავა კომუნისტური რეჟიმის პერიოდში იყო სოციალისტური შრომის გმირი, საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის წევრი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ასე, რომ ვაჟა სიჭინავას რომელიც ,,ზღვის საძმოს", ერთ-ერთი თანადამფუძნებელია, შრომითი მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება გააჩნია.

ვაჟა სიჭინავა დაიბადა 1942 წელს სოფელ ყულევში, ფოთის რაიონი. პროფესიით ინჟინერია. დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური სასწავლებელი და მიღებული აქვს უმაღლესი განათლება მშენებლობის დარგში. უმუშავია გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ ქარხანაში, ფოთის საზღვაო ნავსადგურში, შემდეგ შპს ,,იხარე ჯეროს" დირექტორად.ამჟამად პენსიონერია, ყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი, 8 შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

ბატონ ვაჟა სიჭინავას ,,ზღვის საძმოს" ჯგუფთან ერთად გაუშენებია ზღვისპირას, შუქურასთან, ჰიდროგრაფიის გვერდით პატარა პარკი. სადაც შესასვლელში მინი ღობეზე (აქ ყველაფერი გათვლილია პატარა ბავშვებზე) წამომჯდარა დეზებიანი მამალი, ხოლო უზარმაზარ ფიჭვის ხეზე გაკეთებულია გუგულის სახლი. თითქოს ისინი მოუხმობენ ბავშვებს მოსვლას. ბავშვებიც მოდიან, ხალისობენ. ეზოს შესასვლელში დგას ურემი და აწყვია ბავშვების სატამაშოები, ეზოში მრავალი მინისკამი და მაგიდებია, ზედ სათამაშოებია და ა.შ. ,,ზღვის სამეგობრო ჯგუფის" წევრებს ბატონი ვაჟა სიჭინავა მადლობას უხდის თანადგომისათვის, რომელთა სია ასე გამოიყურება: ბატონი ვაჟა სიჭინავა, მიშიკო და ნიკუშა სარიშვილები, ირაიდა ფაცია, ნაპო თოდუა, ზურაბ მესხია, თემური დოლბაია, აკაკი შურღაია, სლავა ჩიკვიტია, თამარიკო გოგუაძე, ნუგზარი ხოფერია, ბიჭიკო ბოჯგუა, ედემი მოლაშხია, კუკური კვიტანია, კოტე შარტავა, ვანო გოგოლაძე, თამაზი გაბელია, მერაბი გორგაძე, ვალერი ალანია, გიული კილასონია, მალხაზი მიქაძე, კორნელი ჯორბენაძე, მამული კულუა, გიული ბერიშვილი, გივი გოგოლი, ბადრი ცეკვაშვილი, შალვა კაკულია, დემური სოლომონია, ანჟელა ზირაქაძე, ნატო ხაინდრავა, დალი შკრაბაკი, ფატი ჩარგაზია, ლენა ჩხარტიშვილი, ანდრია ლორია და სხვა. ეს სია დღითი დღე იზრდება და მათი რაოდენობა 90 ადამიანზე მეტია, რომელთა გვარებს აქ ვერ ჩამოვთვლით, რადგან გაზეთის ფორმატი არ იძლევა ამის საშუალებას.

ამათგან ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ირაიდა ფაციას, ასევევ წვლილი მიუძღვის მაია კორკელიას, თამრიკო გოგუაძეს, ნანუკა ღურჯიას, ეკა გერსამიას, მანანა ამბალიას, ნატო ხაინდრავას, ფატი ჩარგაზიას, დალი შკრაბაკს, აკაკი შურღულაიას, სლავა ჩიკვატიას, თემურ დოლბაიას და ზურაბ მესხს.

ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილას დაყენებულია ტრაფარეტები- ,,არ დაანაგვიანოთ",,,დაიცავით სისუფთავე" და ა. შ.

საბავშვო პარკის ტერიტორიაზე მარჯვენა მხარეს დგას მიტოვებული ერთსართულიანი, სახურავ და ფანჯრებ ჩამტვრეული შენობა, რომლის მარჯვენა კედელი და წინა ფასადი ბატონ ვაჟას ძალისხმევით მოუხატავს ფოთში კარგად ცნობილ მხატვარს ჯანო დანელიას და პერსპექტიულ ახალგაზრდა მხატვარს სერგი ხახალიას. რაც პარკს მშვიდ და ლამაზ გარემოს უქმნის.

ბატონი ვაჟა სიჭინავა ოცნებობს მსგავსი მინი სკვერები მოეწყოს ქალაქის ყველა მუნიციპალურ უბნებში. ანალოგიური სკვერი აქვს მას მოწყობილი გორგასლის ქუჩა №17-ში, სადაც

ცხოვრობს მისი შვილიშვილი იოანე.

ამის თაობაზე მან წერილობით მიმართა ქალაქის მერს ბატონ გოჩა კურდღელიას, რომელმაც აღუთქვა ხელშეწყობა.

მხოლოდ შრომით მიიღწევა დიდი საქმე-ამბობს ბატონი ვაჟა.

ვუსურვებდი ბატონ ვაჟას აესრულებინოს თავისი ოცნება, გაეშენებინოს ნამდვილი დისნეილენდი ჩვენს პატარა, ამ ზღვისპირა ზღაპრულ ქალაქში.

ი. სპერი

ხსოვნა
ანზორ გურგენაძე
„კარგსა რადა კლავ სიკვდილო, განა შენც არა კვდებიარ?"



ქალაქ ფოთის ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მის რიგებს გამოაკლდა ფოთელებისათვის კარგად ცნობილი, მისი ერთგული და თავდადებული მუშაკი ანზორ ვალერიანის ძე გურგენაძე.

ანზორ გურგენაძე დაიბადა 1940 წელს 13 ოქტომბერს.

დაამთავრა ქ.ფოთის პირველი საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ოდესის საზღვაო ტექნიკურ უნივერსიტეტში. მიიღო მექანიკოს-გემთმშენებლის კვალიფიკაცია(სპეციალობა). შრომითი საქმიანობა დაიწყო ფოთის ელექტრომანქანურ გამაძლიერებლების ქარხანაში.

მუშაობდა ფოთვაჭრობის ხე-ტყის გადამამუშავებელი (ლესსბიტი) საწარმოში ოსტატად.

35 წლის განმავლობაში მუშაობდა ფოთის საოკეანო სანაპიროს მცურავ გემთშემკეთებელ (დოკ) საწარმოში ოსტატად, მთავარ ინჟინრად. წლების განმავლობაში იყო კომერციული სავაჭრო ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. შპს ,,თეოლანის" დირექტორი, სადც საქმიანობდა პენსიაში გასვლამდე.

ანზორ გურგენაძე ფოთისა და ფოთელების ნამდვილი განსახიერება იყო, მისი ხასიათისა და ტრადიციების ერთგული - ყველას მასპინძელი და მოამაგე, გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული, ყველას ჭირის მოზარე და ნადღი მეგობარი, რომელსაც ყველაზე უფრო შეეფერება დიდი პოეტის სიტყვები- ,,თასით ღვინო და ალალი მეგობარი,რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს", - ,,კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი".

წავიდა ჩვენგან საქართველოზე, ფოთზე, ოჯახზე, მეგობრებზე ფრიად შეყვარებული პიროვნება, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების გულებში.

მეგობრები

ბატონ ანზორ გურგენაძის ოჯახს

ჩვენ ვიზიარებთ ,,ზღვის საძმოს" ,,ზღვის სანაპირო სკვერ ფაზისი - მინი დისნეილენდი" ,,ვაჟა სიჭინავა - ქველმოქმედი და მოქალაქე" ,,ანზორ გურგენაძე" ,,ანზორ ბოლქვაძე" ,,ანზორ ბერიძე" ,,ანზორ ბერიძე" ,,ანზორ ბერი